პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი
№ 111 (12319)
კვირა, 13 მაისი, 1962 წ.
ფასი 2 კაპ.

ახალი დიდი საქმეებისათვის!

რკინიგზელთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვა რკინიგზის ტრანსპორტის ყველა მუშაკს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ XXII ყრილობამ პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი შეაიარაღა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი პროგრამით. ეს პროგრამა გამოხატავს საბჭოთა ადამიანების ყველაზე სანუკვარ ხურვილებსა და ძირეულ ინტერესებს. ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებით იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის განსახორციელებლად. წარმატებით სრულდება სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. სწრაფი ტემპებით ვითარდება მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია. ხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი დიდი რეზერვების გამოვლინება და ამოქმედება. სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარება, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა აღნიშნა, კომუნიზმის მშენებლობის ის უმნიშვნელოვანესი მიჯნაა, რომლის დასაძლევად მიმართულია მთელი პარტიის, მთელი ხალხის ძალები, საბჭოთა წყობილების მთელი ძლიერება.

ჩვენ ვიცით, რომ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას არა აქვთ სხვა ინტერესები, სხვა მისწრაფებანი, გარდა ხალხისადმი უანგარო სამსახურისა. ყოველივე, რაც ჩვენს ქვეყანაში კეთდება, ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის კეთდება. უკანასკნელ წლებში გადიდდა მცირეხელფასიან მუშაკთა ხელფასი, გადიდდა პენსიები, მიმდინარეობს გადასახადების გაუქმება, მნიშვნელოვნად გაიზარდა ტვირთზიდვაზე დასაქმებულ რკინიგზელთა საშუალო ხელფასი. ჩვეული გახდა უდიდესი სიკეთე, რასაც საზოგადოებრივი ფონდებიდან ვიღებთ: უფასო სწავლება და მკურნალობა, ჩვენი ბავშვების უზრუნველყოფა საბავშვო ბაღებითა და ბაგებით, შეღავათიანი საგზურები სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში და ბევრი, ბევრი სხვა რამ. მილიონობით მშრომელის ოჯახი იღებს ახალ კეთილმოწყობილ ბინებს.

თვითეული ჩვენგანი ხედავს და გრძნობს, თუ რა დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხეში. პარტიამ გადაჭრით დაძლია პიროვნების კულტის შედეგები, გზიდან ჩამოიშორა შეთქმულთა ანტიპარტიული ჯგუფი, განახორციელა დიდი, ჭეშმარიტად რევოლუციური ღონისძიებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ნამდვილად ტრიუმფულია საბჭოთა მეცნიერების გამარჯვებანი, გამალებული ტექნიკური პროგრესი მიმდინარეობს წარმოების ყველა დარგში, მათ შორის რკინიგზის ტრანსპორტზეც.

ჩვენ, რკინიგზელები, ვხარობთ, რომ საბჭოთა ხალხის ყველა მიღწევაში ჩვენი შრომის ნაწილიც არის. წარმატებით ხორციელდება რკინიგზების ელექტროფიკაციის გენერალური გეგმა, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით. ელმავლისა და თბომავლის წევაზე გადაყვანილია უკვე ორმოც ათას კილომეტრზე მეტი ხაზები. სკკპ ისტორიული XXII ყრილობის წინ დამთავრდა მსოფლიოში ყველაზე დიდი მაგისტრალის მოსკოვ-ბაიკალის მაგისტრალის ელექტროფიკაცია. ელექტროფიცირებული რკინიგზების სიგრძითა და ელექტროფიკაციის ტემპებით საბჭოთა კავშირს მტკიცედ უჭირავს პირველი ადგილი მსოფლიოში. ჩვენს გზებზე სულ უფრო ფართოდ ინერგება ავტომატიკა, ტელემექანიკა, კომპლექსური მექანიზაცია.

მთლიანად ტრანსპორტი წარმატებით ახორციელებს განუწყვეტლივ მზარდ სახალხო-სამეურნეო ტვირთზიდვას. შარშან რკინიგზებით გადატანილ იქნა დაახლოებით ორი მილიარდი ტონა ტვირთები. ტვირთზიდვის გეგმა შესრულდა 101 პროცენტით, ტვირთბრუნვის დავალება — 100,4 პროცენტით. გაუმჯობესდა ლოკომოტივებისა და ვაგონების გამოყენება.

ეს წარმატებანი შედეგია რკინიგზელთა მთელი არმიის თავდადებული შრომისა, იმისა, რომ პარტია და მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი განუწყვეტლივ ზრუნავენ ტრანსპორტის განუხრელი აღმავლობისათვის, უაღრესად მოწინავე ტექნიკის საფუძველზე მისი ტექნიკური განვითარებისათვის, შედეგია ტრანსპორტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობისა.

რკინიგზის ტრანსპორტის წარმატებანი უდავოა, მაგრამ საბჭოთა ადამიანებს როდი ახასიათებთ კმაყოფილდებოდნენ მიღწეულით და ვერ ხედავდნენ თავიანთ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს. ჩვენში ჯერ კიდევ არის გზები და გზათა განყოფილებები, რომლებიც ვერ ასრულებენ უმნიშვნელოვანესი ტვირთების გადატანას. ამ გზებზე და განყოფილებებში ირღვევა სატვირთო და სამატარებლო მუშაობის რიტმულობა, ვერ სრულდება საფინანსო გეგმები. რკინიგზის ტრანსპორტის ზოგიერთი სამრეწველო საწარმო არარიტმულად მუშაობს, უშვებს გადიდებულ მოცდენასა და წუნს ლოკომოტივების, ვაგონების, მანქანების რემონტში. არარენტაბელურად მუშაობენ ცალკეული საწარმოები.

ყველგან ეფექტიანად როდი იყენებენ ახალ ტექნიკას, უწინარეს ყოვლისა, ელმავლებს და თბომავლებს. მატარებლების მოძრაობის სიჩქარე ნელა იზრდება. მთელ რიგ რკინიგზებზე ვაგონების მოცდენის დრო არ მცირდება. დატვირთვისა და გადმოტვირთვის დარგში მუშაობა ზედმეტად გაბნეულია ბევრ სადგურში, რაც არა ქმნის ხელსაყრელ პირობებს ამ სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისა და ვაგონების მოცდენის შემცირებისათვის. ლიანდაგის რემონტის ტექნოლოგია ჩამორჩება ჩვენი დროის მოთხოვნებს, ხოლო არსებული მძლავრი სალიანდაგო ტექნიკა ხშირად სუსტად არის გამოყენებული. ზოგიერთ რკინიგზაზე არის სერიოზული ნაკლოვანებანი სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობათა, საწევო ქვესადგურების ტელემართვის მოვლა-პატრონობაში, სახარისხებელი მოედნების მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში.

რკინიგზებზე არის შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა რკინიგზელს გააძლიერონ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ნაკლოვანებათა უსწრაფესი აღმოფხვრისათვის, უზრუნველყონ ტრანსპორტის მუშაობის უფრო მაღალი დონე, ყველა მისი რგოლის ზუსტი და შეთანხმებული მუშაობა.

ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი სწრაფი აღმავლობა. ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვმა, რომელმაც მთელი ძალით გაუსვა ხაზი შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხის დიდ მნიშვნელობას, უწოდა მას საფუძველთა საფუძველი კომუნიზმის მშენებლობაში და მოუწოდა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს „ყოველი ღონისძიებით იზრუნონ, რათა უწინარეს ყოვლისა იზრდებოდეს შრომის ნაყოფიერება“. ჩვენ მოვუწოდებთ ტრანსპორტის ყველა მუშაკს მტკიცედ და შეუპოვრად, დღითიდღე, ყოველ უბანზე, სადაც უნდა მუშაობდნენ ისინი, გადაჭრან მთავარი ამოცანა — იბრძოლონ შრომის ნაყოფიერების ახალი აღმავლობისათვის, მთლიანად გამოიყენონ ამ მიზ- [illegible]

ეს რეზერვები კი ყოველწლიურად გადიდდება ახალი წევის, ტრანსპორტის საშუალებათა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვის მეოხებით. მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები — აი ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. მოდით, ამხანაგებო, გადავჭრათ ეს ამოცანა მებრძოლურად, ყოველდღიურად, დაუცხრომლად.

ჩვენი მთავარი რეზერვია ლოკომოტივების გამოყენების ყოველმხრივ გაუმჯობესება. ისე უნდა მოვაწყოთ საექსპლოატაციო მუშაობა, რომ ჩვენმა ელმავლებმა, თბომავლებმა და ორთქლმავლებმა რაც შეიძლება უფრო ხშირად წაიყვანონ მთლიანად დატვირთული მატარებლები; მოვაწყოთ ლოკომოტივების მუშაობა დიდი რკალის გრძელ საწევო უბნებზე, როგორც ამას აკეთებენ აღმოსავლეთ ციმბირის გზის მეელმავლეები, რომლებმაც წაიყვანეს თავიანთი ლოკომოტივები დაახლოებით 2.500 კილომეტრი სიგრძის რკალზე; უფრო გაბედულად დავნერგოთ ლოკომოტივების მომსახურება ცვლებში, მაქსიმალურად შევამციროთ სარეზერვო გარბენები. ლოკომოტივების წარმადობით გამოყენებამ მოძრაობის დიდ უბნებზე შარშან საშუალება მოგვცა პარკში გვყოლოდა გაცილებით ნაკლები ლოკომოტივი, ვიდრე საჭირო გახდებოდა მოკლე უბნებზე.

ამხანაგო მემანქანეებო! მოგიწოდებთ ისე დაეუფლოთ ახალ პროგრესულ ლოკომოტივებს და ოსტატურად მართოთ ისინი, როგორც ოჟერელიეს დეპოს მოწინავე მექანიკოსი ვიქტორ მოისეევი, მოსკოვის სახარისხებელი სადგურის სახელგანთქმული დეპოს მექანიკოსი ალექსანდრე ბოგომოლოვი, რომლებსაც ყოველთვის ჩინებულ მდგომარეობაში აქვთ მანქანები, როგორც ლენინგრადელი ვასილ ჯუმოკი, რომელიც წარმატებით დაეუფლა თბომავლის, ელმავლისა და ელექტროსექციის მართვის ოსტატობას, როგორც ტაიგის დეპოს მექანიკოსი ვიქტორ სამოდელოვი, რომელმაც მიაღწია ლოკომოტივის დიდ წარმადობას, როგორც ზლატოუსტელი მაქსიმე კუპრიანოვი, რომელმაც უზრუნველყო ის, რომ ყოველ რეისზე ზოგავს ელექტროენერგიას, და მრავალი სხვა.

ლოკომოტივების ექსპლოატაციის ფორმების სრულყოფასთან ერთად უნდა გაუმჯობესდეს მათი მოვლა-პატრონობა და რემონტი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ სწრაფად უნდა დავამთავროთ მაღალინდუსტრიული სარემონტო ბაზის შექმნა დეპოებსა და ქარხნებში, უზრუნველვყოთ პროფილაქტიკური გასინჯვის ზუსტი ორგანიზაცია, რემონტის მაღალი ხარისხი.

დეპოების სარემონტო საამქროებისა და ლოკომოტივების ტექნიკური გასინჯვის პუნქტების მუშაკებო! მოსკოვის, რიბნოეს, ირკუტსკის, ორენბურგის დეპოების მერემონტეთა მაგალითით უზრუნველყავით მანქანების გაშვება რეისში იმის სრული გარანტიით, რომ შეუფერხებლად იმუშავებენ ექსპლოატაციის დროს.

ჩვენ შეგვიძლია ავამოქმედოთ და კიდევაც უნდა ავამოქმედოთ მნიშვნელოვანი რეზერვები მთელ მიმართულებებზე მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციის ხერხებისა და მეთოდების სრულყოფის შედეგად. მოძრაობის ისეთი მეთაურების გამოცდილება, როგორიც არიან საგზაო დისპეტჩერები — ნოვოსიბირსკელი თეოდორე მაკაევი და კუიბიშეველი ლეონტი კომაროვი, დაგვეხმარება ყველგან, სადაც იქმნება „დიდი რკალი“, რათა გავზარდოთ მარშრუტების სადღეღამისო გარბენა ათას კილომეტრამდე და უფრო მეტად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაიმე დამატებითი ხარჯების გაუწევლად შეიძლება გავატაროთ ორ-ორი მატარებელი იქ, სადაც ამჟამად მხოლოდ ერთის გატარებას ასწრებენ.

დიდი, ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რეზერვია ვაგონის ბრუნვის შემდგომი დაჩქარება. განა შესაწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა ვაგონი ბრუნვის მეტი წილი დროის განმავლობაში მოცდენილია ტექნიკურ სადგურებში და სატვირთო ოპერაციებზე. იმისათვის, რომ შევამციროთ ეს მოცდენები, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ სატვირთო მუშაობის რიტმულობა, როგორც ეს განახორციელა ილოვაისკოეს განყოფილების კოლექტივმა, უფრო ფართოდ განვავითაროთ მატარებლების მარშრუტიზაცია, ძირეულად გავაუმჯობესოთ ადგილობრივ ტვირთზე მუშაობა. დაე დევიზი — „ტვირთი ადგილობრივია, მაგრამ საქმე — სახელმწიფოებრივი“ გახდეს დისპეტჩერთა, მოძრაობისა და სატვირთო სამსახურის ყველა მუშაკის წესი!

ფართო გავრცელების ღირსია სადგურ ანტრაციტის რკინიგზელთა გამოცდილე-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე პიერ სელინჯერი

12 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მოსკოვის მახლობელ აგარაკზე მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე პრესის საკითხებში პიერ სელინჯერი და საუბარი ჰქონდა მასთან, რომელიც მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა სადილი გამართა პიერ სელინჯერის პატივსაცემად.

სადილზე, რომელმაც გულითად ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. ა. ხარლამოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის შეერთებული შტატების განყოფილების გამგის მოვალეობის აღმასრულებელი ლ. მ. ზამიატინი, გაზეთ „პრავდის“ მიმომხილველი გ. ა. ჟუკოვი, აგრეთვე პიერ სელინჯერის თანმხლები პირნი — ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს დირექტორის მოადგილე ტ. სორენსენი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი ა. აკალოვსკი.

გულითადი მილოცვა

მოსკოვი, 13 მაისი. (საკდესი). ინდოეთის პრეზიდენტად სარვაპალი რადჰაკრიშნანის არჩევის აღსანიშნავად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა გულითადად მიულოცეს მას საბჭოთა ხალხის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის სახელით, აგრეთვე პირადად თავიანთი სახელით.

მისასალმებელ დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ სარვაპალი რადჰაკრიშნანის ყოფნა ინდოეთის პრეზიდენტის პოსტზე ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრული ურთიერთობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, რაც მშვიდობიანი თანაარსებობის კარგი მაგალითია და შეესაბამება ორივე ქვეყნის ძირეულ ინტერესებსა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

შენთვის, ჩემო სამშობლოვ!

თბილისი. ბამბის სართავი ფაბრიკის კოლექტივმა 27 აპრილისათვის შეასრულა ოთხი თვის საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა ათი ტონა ნართი.

შრომაში თავი ისახელეს კომუნისტური ცვლის იმ ფეიქრებმა, რომლებსაც ცვლის ოსტატი ნორა გვასცელაძე ხელმძღვანელობს. კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე იმ ბრიგადებს, რომლებსაც შ. ალექსანოვი და ი. ხახნიაშვილი მეთაურობენ.

თბილისი. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა 27 აპრილისათვის საერთო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

წელს ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით აითვისა ადგილობრივი დესინატორების მიერ შემუშავებული ახალი, ქალის საზაფხულო საკაბე ქსოვილის „ციცინათელას“ სერიული წარმოება.

მომხმარებელმა უკვე მიიღო 28 ათასი მეტრი ასეთი სახის ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილი.

აგარა. საქართველოს შაქრის კომბინატის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვა. აქ შაქრის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა 113 პროცენტით შეასრულეს და 139 ათასი ცენტნერი შაქრის ნაცვლად გამოუშვეს 157 ათასი ცენტნერი შაქარი. თვითღირებულების შემცირების გზით მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში უკვე შეტანილია 233 ათასი მანეთი.

წარმოების კოლექტივმა დიდი წარმატებით იმუშავა აპრილშიც. თვის დავალება 26 აპრილისათვის გაანაღდა. გამოშვებულია 60 ათასი ცენტნერი შაქარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 47 ათასი ცენტნერისა.

ახალი
ამბები

160.000 ტონა ჩაისათვის!

ვინ გაიმარჯვებს?

ჩოხატაური. (საკ. კორ.), მოწინავე მეჩაიეები დღითიდღე აძლიერებენ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპს. „მწვანე ოქროს“ მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში ბევრმა მეჩაიემ ისახელა თავი. ჩაისუბნელი ლამარა ჩხიკვაძე პირველობას არავის უთმობს, ყოველდღიურად 70 კილოგრამ ნედლეულს აბარებს წარმოებას.

ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ინიციატორის, მახარაძელი ლეილა მაღულარიას თაოსნობას მხურვალედ დაუჭირა მხარი ლ. ჩხიკვაძემ. მან გადაწყვიტა მოსავლელად ჩაბარებული ერთი ჰექტარი პლანტაციიდან მიიღოს 12 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ლ. ჩხიკვაძემ შეჯიბრებაში გამოიწვია მეზობელი სოფლის ხიდისთავის კოლმეურნეობის წარჩინებული მეჩაიე გოგუცა კალანდაძე, რომელმაც სიამოვნებით მიიღო გამოწვევა და უკვე შეუდგა ბრძოლას მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაისათვის.

ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს.

გუშინ პლანტაციებში

1962
12
მაისი

მახარაძე. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის კრეფაში დაწინაურდა სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტატიანა ჩხაიძე. ერთ დღეში მან 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ხოლო ამავე კოლმეურნეობის მეჩაიემ სოციალისტური შრომის გმირმა შურა კუზუსიძემ — 50 კილოგრამი. სოფელ გურიანთის კოლმეურნე მეჩაიემ თამარ შეწირულმა 35 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის მეჩაიემ თამარ ჩხაიძემ კი 30 კილოგრამი, ნანი უზრეხელიძემ — 40 კილოგრამი.

აბაშა. რაიონის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა მაისში შეასრულონ. 12 მაისისათვის სულ მოკრეფილი იყო 45 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც შარშან ამავე პერიოდის მაჩვენებელს 15 ტონით აღემატება.

სოფელ ძველი აბაშის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც ლ. პერტენავა ხელმძღვანელობს. მას მოკრეფილი აქვს მაის-ივნისის გეგმის 35 პროცენტი.

თავი ისახელა შურა კუპრავამ, რომელმაც ერთ დღეს მოკრიფა 45 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სოფელ ნორიოს კოლმეურნეობის მეჩაიეები დავარ მასხარაშვილი, ნათელა ალასანია ყოველდღიურად 35-45 კილოგრამს კრეფენ.

ბათუმი. სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობის წევრმა დარეჯან თურმანიძემ ერთ დღეს მოკრიფა 180 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 20 კილოგრამისა, ხოლო დარიკო ფარტენაძემ — 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სოფელ ურეხის კოლმეურნეობის წევრმა საიმე ქობულაძემ გუშინ მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით გეგმა 200 პროცენტით შეასრულა.

ტექნიკური კადრების სამჭედლო

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

სასიხარულო დღესასწაულად, ტექნიკური კადრების სამჭედლოსადმი მისი აღზრდილებისა და რესპუბლიკის ყველა მშრომელის სიყვარულისა და მადლიერების დემონსტრაციად გადაიქცა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. თბილისის სპორტის სასახლეში შეიკრიბა 10 ათასზე მეტი სტუმარი — რესპუბლიკის დედაქალაქის სახელმოხვეჭილი ადამიანები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, სტუდენტი ახალგაზრდობა.

სპორტის სასახლის აღმოსავლეთ იარუსებს ამშვენებს უზარმაზარი სკულპტურული პორტრეტი ვლადიმერ ილიას ძე ლენინისა, რომლის სახელს ამაყად ატარებს იუბილარი ინსტიტუტი. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები **გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე, მ. მ. ლელაშვილი, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ე. ჩერქეზია,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი **ა. მ. ლაბახუა** და **ზ. ა. კვაჭაძე,** პროფესორ-მასწავლებლები, მოძმე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლები, წარჩინებული სტუდენტები.

მოხსენება გააკეთა ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა **ი. მ. ბუაჩიძემ.** მან მიულოცა იუბილე ინსტიტუტის კოლექტივს, მის აღზრდილებს, მიესალმა სტუმრებს, რომლებიც ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და ლიტვიდან.

ჩვენმა ინსტიტუტმა, — თქვა პროფესორმა ბუაჩიძემ, — განვლო დიდი და სასახელო გზა უნივერსიტეტის პატარა ფაკულტეტიდან, რომელზეც სამი სპეციალობა იყო, რესპუბლიკის ყველაზე დიდ უმაღლეს სასწავლებლამდე, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს 15 ფაკულტეტზე. უმაღლესი ტექნიკური განათლების ჩასახვა და განვითარება საქართველოში განაპირობეს კომუნისტური მშენებლობის, ჩვენი სამშობლოს გარდაქმნის დიდებულმა გეგმებმა, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა.

გულთბილი იყო სტუმართა მისალმებანი. პირველი სიტყვა მიეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, [illegible]

პოლიტექნიკური ინსტიტუტი თბილისის უნივერსიტეტის პირმშოა.

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ი. ჩოგოვაძემ.** პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული 30 ათასი ინჟინერი, განაცხადა მან, დიდი ცოდნითა და სიყვარულით, ენერგიითა და ენთუზიაზმით შრომობს სახალხო მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგში, ჩვენს სახელოვან მუშათა კლასთან ერთად ქმნის და ამრავლებს ხალხის სიმდიდრეს. ქართველი ინჟინრების — მშენებლების, მექანიკოსების, მეტალურგების, ქიმიკოსების, გეოლოგების, სამთოელების, ენერგეტიკოსებისა და ტრანსპორტის მუშაკების — დიდი, შემოქმედებითი შრომის მოწმენი არიან რუსთავისა და ზესტაფონის, დონეცკისა და ბრატსკის, ბჰილაისა და ასუანის, მოსკოვისა და ბომბეის სამრეწველო ობიექტები.

სიტყვა მიეცა მოსკოველ მეცნიერს, დოცენტ **გ. ნ. გალატკოვსკაიას.** იგი მიესალმა იუბილარს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით.

გულთბილად შეხვდნენ სხვა სტუმრებს — მოძმე რესპუბლიკების უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთა წარმომადგენლებს — მოსკოვის სამთო ინსტიტუტის პროფესორს **პ. ნ. პანიუკოვს,** ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ **პ. გ. მელქონიანს,** აზერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორს, პროფესორ **კ. ბ. ტაგიევს,** რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ **ა. კ. მალმეისტერს,** აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის პროფესორს **ა. ა. იაკუბოვს,** მოსკოვის გეოდეზიის აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორს **ა. ი. მაზმიშვილს,** რომლებმაც მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს გულმხურვალედ მიულოცეს იუბილე აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **რ. რ. დვალმა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმ- [illegible] მა მდივანმა **ო. ე. ჩერქეზიამ,** ქარხანა „ელექტროავტომატის“ კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **ზაურ რუსიამ.**

მიკროფონთან მივიდა აფრიკელი ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობენ. მათ მადლობა გადაუხადეს ინსტიტუტის კოლექტივს, პროფესორებსა და მასწავლებლებს, მეგობარ სტუდენტებს მათდამი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის, იმისათვის, რომ შექმნილი აქვთ ნაყოფიერი სწავლის ყველა პირობა.

მღელვარედ გაისმა ყველა ფაკულტეტის წარმომადგენელ სტუდენტთა ჯგუფის გამოსვლა. თავიანთი ამხანაგების სახელით მათ პირობა მისცეს შეკრებილთ, რომ გახდებიან კარგი სპეციალისტები, ჩადგებიან კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში.

გამოაქვეყნეს მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც გამოგზავნეს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებათა და საზოგადოებათა, უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

საიუბილეო საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების დიდი კონცერტი. (საქდესი).

საინფორმაციო ცნობა

11 მაისს გაიმართა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მუშა, სოფლის, შემოქმედებითი და მოსწავლე ახალგაზრდობის ფართო აქტივმა.

პლენუმმა განიხილა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ო. ჩერქეზიას** მოხსენება: „საკავშირო ალკკ XIV ყრილობის შედეგები და რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანები“.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ლორთქიფანიძემ,** კომკავშირის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ჩიგოგიძემ,** გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობის მექანიზატორმა **ს. ჩალაბაშვილმა,** თბილისის 37-ე საშუალო სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა **ლ. ჯავახიშვილმა,** კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ლ. ხვარცკიამ** და სხვ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო რეზოლუცია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **ვ. მ. სირაძემ** და **ი. გ. რთველიაშვილმა.**



ასე იზარდა, ასე ამაღლდა...

1. ძვირფასო მკითხველო! თქვენს თვალწინ გადაშლილ ამ სურათზე ფოტორეპორტიორმა აღბეჭდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსები. თუ გინახავთ ოციოდე წლის წინათ საბურთალოს ის ადგილები, რომელზეც ახლა ეს გრანდიოზული შენობები აღმართულა, არ შეიძლება სიამაყის გრძნობა არ დაგეუფლოთ თქვენი მშობლიური დედა-თბილისისათვის, განახლებული და აღორძინებული ქალაქისათვის. ამ ლამაზი, გრანდიოზული შენობების ანსამბლი ჩვენს სახელოვან იუბილარს, ტექნიკური კადრების მძლავრ სამჭედლოს — პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ეკუთვნის. ეს კორპუსები აგებულია ინსტიტუტის მაღალგაზრდილ მოთხოვნილებათა შესაბამისად. ამ კორპუსების ასაგებად და კეთილმოსაწყობად რესპუბლიკამ არ დაიშურა თანხები, ზრუნვა, და ახლა ინსტიტუტი ტექნიკისა და არქიტექტურის უკანასკნელი სიტყვით აგებულ ამ შენობებში ჭედს ტექნიკურ კადრებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის.

აბა წარმოიდგინეთ, რომ ინსტიტუტმა ოცდაათ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ გამოუშვა თავის პირველ გამოშვებად მხოლოდ ათი ინჟინერი. მაშინ იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტს წარმოადგენდა.

როგორ იზარდა! ახლა ინსტიტუტი, რომლის ცხოვრების მძლავრი მაჯისცემა ისმის ახალ შენობებში, წლიურად 1.000-ზე მეტ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს უშვებს.

72 კათედრა, 120 ლაბორატორია, 60 კაბინეტი, 3 მუზეუმი, კეთილმოწყობილი სასწავლო სახელოსნოები, საკუთარი გამომცემლობა, სასპორტო დარბაზები და მოედნები, ფუნდამენტური ბიბლიოთეკა 10.830 აბონენტისათვის და 800.000 ეგზემპლარი წიგნის ფონდით — აი რა არის მოთავსებული კორპუსების გრანდიოზულ ანსამბლში 15.000 სტუდენტის აღსაზრდელად, მათი აღმზრდელი პროფესორ-მასწავლებლების ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

ასე იზარდა, ასე ამაღლდა ჩვენი რესპუბლიკის 40 წლის სახელოვანი იუბილარი!

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ახალი დიდი საქმეებისათვის!

(დასასრული)

ბა, სადაც მეშახტეებთან მათი შეთანხმებული მუშაობისა და ტექნიკურ საშუალებათა კოპერირებული გამოყენების მეოხებით დაუცხრომლად ამცირებენ ვაგონების მოცდენას.

რკინიგზების საწარმოთა და სადგურების მისასვლელი ლიანდაგების ტექნიკურ საშუალებათა კოოპერირებულ გამოყენებაში დაფარულია მთელი სატრანსპორტო ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესების, ტვირთზიდვის მოცულობის გადიდების, შრომის ეკონომიის, სატრანსპორტო ხარჯების შემცირების კოლოსალური რეზერვები. ამას ადასტურებს დონეცკისა და მოსკოვის გზების პრაქტიკა, რომლებმაც უკვე მიიღეს სამრეწველო საწარმოებისაგან ათას კილომეტრზე მეტი მისასვლელი ლიანდაგები. თუ გავითვალისწინებთ, რომ სატვირთო სამუშაოს ძირითადი ნაწილი ხორციელდება საწარმოთა მისასვლელ ლიანდაგებზე, გასაგები გახდება, რა ჭეშმარიტად ხელუხლებელი „ტრანსპორტის ყამირია“ ჩვენს წინაშე მოძრავი შემადგენლობის ბრუნვის დასაჩქარებლად, ვაგონებისა და ლოკომოტივების უკეთ გამოსაყენებლად, ტვირთზიდვის გასადიდებლად. გავტეხოთ ეს ყამირი საერთო ძალღონით სამრეწველო საწარმოთა სატრანსპორტო საამქროების მუშაკებთან ერთად — ეს დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანაა.

მატარებელთა მოძრაობის სიჩქარის გადიდება დიდი რეზერვია, რომელიც ხელს უწყობს ტრანსპორტის მუშაობის აღმავლობას, ტექნიკური საშუალებების, აგრეთვე რკინიგზების გამტარუნარიანობის და გადაზიდვისუნარიანობის უკეთ გამოყენებას.

მოდით, ამხანაგებო, უფრო სწრაფად გადავიდეთ ცალკეულ უბნებზე სიჩქარის გადიდებიდან მთელი მიმართულებებით სიჩქარის მნიშვნელოვან გადიდებაზე. ეს ამოცანა უწინარეს ყოვლისა უნდა გადაჭრან სალიანდაგო სამსახურის მუშაკებმა. მხოლოდ იქ შეიძლება იყოს დიდი სიჩქარეები, სადაც ჩინებულად უვლიან ლიანდაგს, სადაც გაძლიერებასა და რეკონსტრუქციას სათანადო ყურადღება ექცევა. ეს ძალიან კარგად ცხადყო ლოზოვაიას დისტანციის კომუნისტური შრომის კოლექტივმა, რომელმაც ლიანდაგის ჩინებული მოვლის, ტექნიკის უნარიანი გამოყენების მეოხებით უზრუნველყო მატარებელთა მოძრაობის სიჩქარე 140 კილომეტრამდე საათში.

საჭიროა, რომ ამ კოლექტივის გამოცდილება, მიღწევები რკინიგზების ქსელის საუკეთესო საგზაო ოსტატებისა, როგორიც არიან ტატარსკელი გრიგოლ ჩაბანი, სლავიანსელი ვასილ კუდრიჩი, ფართოდ გამოიყენონ ყველა გზის მელიანდაგეებმა. ჩვენ ძალგვიძს სანიმუშო და ჩინებული გავხადოთ ლიანდაგი!

მოძრაობის დიდი სიჩქარის უზრუნველყოფის უცილობელი პირობაა ვაგონების სვლის საგარანტიო უბნის შემდგომი გადიდება ტექნიკური და კომერციული გასინჯვის გაუვლელად. სავაგონო მეურნეობის ყველა მუშაკის ღირსების საქმეა ისე მოაწყონ თავიანთი მუშაობა, როგორც სვერდლოვსკელმა, ზლატოუსტელმა და ნიჟნეუდინსკელმა მევაგონეებმა, რომლებიც ვაგონების გასინჯვისა და რემონტის მაღალი ხარისხის მეოხებით უზრუნველყოფენ მათს მოუხსნელ გადაყვანას გადმოტვირთვის ადგილამდე. დაე თვითეული ისევე შრომობდეს, როგორც შრომობს სადგურ ზლატოუსტის ვაგონების გამსინჯველი ვასილ ჩერმიშენცევი, რომელმაც ორჯერ შეამცირა მატარებლების მოცდენა დამუშავების დროს და ამასთან ჩინებულად აწარმოებს გასინჯვას; როგორც შრომობს სადგურ ტალინ-ვიაიკეს გამსინჯველი იოჰანეს ტუუბელი, რომელმაც მოწინავეთა დონემდე აიყვანა ჩამორჩენილი ცვლა, დღეს კომუნისტური შრომის კოლექტივი რომ გახდა.

ქარხნების მუშაკებო! თქვენი მთავარი ამოცანაა შემდგომ გააუმჯობესოთ მოძრავი შემადგენლობისა და დამზადებული სათადარიგო ნაწილების რემონტის ხარისხი, აამაღლოთ წარმოების კულტურა, დანერგოთ მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები, წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

უფრო სწრაფად დავნერგოთ კომუნისტური შრომის საწარმოების — ბაქოს ვაგონსარემონტო ქარხნისა და ნიჟნედნეპროვსკის ელექტროტექნიკურ ქარხანა „სვეტოფორის“ გამოცდილება, რომლებშიც სანიმუშოდ არის მოწყობილი წარმოება, აღმოფხვრილია მძიმე ხელის შრომა, ხავსებით ლიკვიდირებულია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, კარგად არის ორგანიზებული მუშათა სწავლება. მაგალითი აიღეთ წარმოების საუკეთესო მოწინავეებისაგან: ლიუბლინის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის მეფოლადის გრიგოლ აულოვისაგან, რომელიც ჩქაროსნული მეთოდებით ადნობს ფოლადს და უშვებს მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას; კანაშის ვაგონსარემონტო ქარხნის ზეინკლის, აქტიური რაციონალიზატორის ნიკოლოზ კირილოვისაგან, რომელიც სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებებს; ვორონეჟის თბომავალსარემონტო ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირის ალექსანდრე ბორისენკოსაგან, რომელიც თბომავლების რემონტის საუკეთესო ხარისხს უზრუნველყოფს.

დიდი სიჩქარეების პირობებში, როცა მოძრაობის უსაფრთხოების საკითხები უფრო მწვავე ხდება, განსაკუთრებული სიზუსტით უნდა იმოქმედოს სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და კავშირგაბმულობის ყველა საშუალებამ. სანიმუშო მდგომარეობაში გვქონდეს ეს საშუალებანი — ეს უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა არა მარტო ელექტრომექანიკოსებისა და კავშირგაბმულობის მუშაკებისა, არამედ მოვალეობაა, მატარებლების მოძრაობასთან დაკავშირებული ყველა რკინიგზელისაც. იმის შესანიშნავ მაგალითს, თუ როგორ უნდა უზრუნველვყოთ სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა ჩინებული მოვლა და როგორ დავნერგოთ ავტომატიკისა და ტელემექანიკის უფრო სრულყოფილი მოწყობილობანი, გვიჩვენებენ ზაპოროჟიესა და ბატაისკის დისტანციების კოლექტივები, რომლებიც კომუნისტური შრომის საწარმოები არიან. საჭიროა, რომ მათი გამოცდილება, აგრეთვე კავშირგაბმულობის ისეთი ჩინებული მუშაკების მაგალითი, როგორიც არიან რუბცოვსკის დისტანციის ელექტრომექანიკოსი ლეონიდე პოდნებესნი, შილკის დისტანციის ელექტრომექანიკოსი ივანე ნეკრასოვი, ელგავის დისტანციის ელექტრომექანიკოსი არვიდ შინსი, რაც შეიძლება სწრაფად და მალე გახდეს რკინიგზის მთელი ქსელის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციების მუშაკთა კუთვნილება.

ჩვენი დიდი რეზერვია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ხელის შრომა ტვირთების დატვირთვისა და გადმოტვირთვის, ლიანდაგისა და მოძრავი შემადგენლობის შეკეთების დროს. ამავე დროს მთელ რიგ რკინიგზებზე და ქარხნებში შრომის შემამსუბუქებელ მანქანებს ხშირად ცუდად იყენებენ. სარემონტო და სალიანდაგო დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მანქანები სამუშაო დროის უმეტესი ხნის განმავლობაში მოცდენილია. მაქსიმალურად ვიზრუნოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გავხადოთ შრომა მექანიზებული, ნაყოფიერად, სახელმწიფოებრივად გამოვიყენოთ მანქანები და მექანიზმები!

წლითიწლობით იზრდება კაპიტალდაბანდებანი ტრანსპორტის შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ კაპიტალდაბანდებათა სრული ათვისებისა და რაც შეიძლება სწრაფად ანაზღაურებისათვის. საჭიროა ბეჯითად ვსწავლობდეთ ტრანსპორტის ეკონომიკას, ვისწავლოთ თვითეული სახელმწიფო კაპიკის დაზოგვა, ყაირათიანად გავუძღვეთ მეურნეობას, განუწყვეტლივ ვამციროთ ტვირთზიდვის თვითღირებულება. კარგად დაყენებული ეკონომიური მუშაობა შრომის ნაყოფიერების გადიდების, ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების, რკინიგზის მთელი საქმიანობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ ვემსახურებით მილიონობით მგზავრს — ჩვენს შესანიშნავ საბჭოთა მშრომელებს, კომუნიზმის მშენებლებს. განა ყველაფერი ახარებს ჩვენში საბჭოთა ადამიანს ვაგზალზე, მატარებელში? უკანასკნელ ხანს რკინიგზებზე გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა მგზავრთა გადაყვანის გასაუმჯობესებლად. აშენდა ბევრი ვაგზალი, მნიშვნელოვნად შეივსო სამგზავრო ვაგონების პარკი ახალი მთლიანლითონის კომფორტაბელური ვაგონებით. მაგრამ მგზავრისათვის ყველგან როდი უზრუნველვყოფთ შესაძლებლობას მოხერხებულად და მშვიდად იმოგზაუროს.

მგზავრთა გადაყვანის გაუმჯობესება რკინიგზელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პარტია და მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი ჩვენს მუშაობას შეაფასებენ არა მარტო იმის მიხედვით, თუ როგორ ვართმევთ თავს სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადატანას, არამედ იმის მიხედვითაც, თუ როგორ არის მოწყობილი მგზავრთა გადაყვანა. მოგიწოდებთ რაც შეიძლება მალე აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მგზავრთა მომსახურებაში. თვითეულ ვაგზალში ისეთი მზრუნველობითა და ყურადღებით უნდა ვეკიდებოდეთ მგზავრებს, როგორც ამას აკეთებენ ორიოლსა და ლვოვში, და სხვა ვაგზლებში. თვითეულ მატარებელში უნდა მუშაობდეს გამცილებელთა ისეთი ჩინებული კოლექტივი, როგორიც არის ვლადიმერ ტკაჩენკოს ბრიგადა — ხარკოვის გამცილებელთა რეზერვში, ისეთი გამცილებელი, როგორიც არის ელვინა არასი ტალინის რეზერვში, ივანე დენისოვი — კიევის რეზერვში და ბევრი სხვა.

ჩვენ ვცხოვრობთ საბჭოთა მეცნიერების უმაგალითო მიღწევების საუკუნეში, უდიდეს ტექნიკურ წარმატებათა საუკუნეში. ეს კარგად ჩანს ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტის მაგალითითაც. ფოლადის მაგისტრალების ყველა მშრომელის ვალია ყველაფერი გააკეთონ, რათა ახალი ტექნიკა უფრო სწრაფად ინერგებოდეს, გამოყენებული იყოს ეფექტიანად, მაღალი წარმადობით, სანიმუშოდ იყოს მოვლილი და მუდამ უმჯობესდებოდეს.

ჩვენ მოვუწოდებთ რკინიგზებისათვის ახალი ტექნიკის შემქმნელ საწარმოთა მუშებსა და კონსტრუქტორებს გაადიდონ მაღალეკონომიური საბარგო და სამგზავრო ელმავლებისა და თბომავლების, მოტორვაგონებისა და დიზელმატარებლების, სატვირთო და სამგზავრო ვაგონების გამოშვება, დააჩქარონ რეფრიჟერატორული ვაგონებისა და სექციების გამოშვება მალფუჭებადი პროდუქტების გადასატანად, შექმნან უფრო სრულყოფილი მანქანები დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის და სარემონტო-სალიანდაგო მანქანები და მექანიზმები, კავშირგაბმულობისა და ავტომატიკის საშუალებანი, აწარმოონ მხოლოდ დიდი ზომისა და დიდხანს გამძლე რელსები, რომლებიც გაუძლებენ ინტენსიურ დატვირთვას მრავალი წლის განმავლობაში, უფრო სწრაფად გაადიდონ რელსების თანამედროვე სამაგრების გამოშვება.

ტრანსპორტზე უდიდესი ძალაა წარმოების ნოვატორები, კომუნისტური შრომის დამკვრელები — შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლის ორგანიზატორები.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სწორედ ტრანსპორტზე, მოსკოვის მახარისხებელი სადგურის დეპოში, დიადი თაოსნობის სამშობლოში დაიბადა კომუნისტური შრომის პირველი ბრიგადა. ახლა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის უძლეველი დროშით დაირაზმა მილიონობით მშრომელი. მარტო რკინიგზებზე ამ მოძრაობაში მონაწილეობს დაახლოებით ორი მილიონი კაცი.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა რკინიგზელს თავდადებული შრომით, შემოქმედებითი ინიციატივისა და შრომითი აქტივობის ამაღლებით უფრო სწრაფად გაამრავლონ კომუნისტური შრომის დამკვრელების, კოლექტივებისა და საწარმოების რიგები, იმათი რიგები, ვინც თავისი საქმის ოსტატი გახდა, არ სჯერდება მიღწეულს, არამედ წინ იყურება, იჩენს შემართებასა და მაძიებლობას, ვისაც უყვარს მოწინავე მეცნიერება და ტექნიკა, ვერ ითმენს „ძველისათვის“ წაბაძვას, მუდამ მზად არის იაროს ნოვატორთა გზით.

რკინიგზის ტრანსპორტის ყველა რგოლის ზუსტ და შეთანხმებულ მუშაობაზე დამოკიდებულია მთელი სახალხო-სამეურნეო ორგანიზმის საქმიანობის რიტმი, მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოება, ჩვენი მუშაობის წარმატება. ეს სიზუსტე და შეთანხმებულობა მოითხოვს დიდ შრომითს და სახელმწიფოებრივ დისციპლინას. ყოველ საქმეში საჭიროა დისციპლინა, მაგრამ რკინიგზის ტრანსპორტზე დისციპლინა ორმაგად და სამმაგად უფრო საჭიროა. შრომაში შეგნებული დისციპლინით შედუღაბებულნი, ჩვენ კვლავაც ღირსეულად და მაღლა ვატარებთ კომუნისტური შრომის დროშას, ფხიზლად ვიდგებით ჩვენს საგუშაგოზე, ვიმუშავებთ უწუნოდ და უავარიოდ.

მოგმართავთ თქვენ, ამხანაგო საზღვაო, სამდინარო, საავტომობილო, საჰაერო და მილსადენი ტრანსპორტის მუშაკებო, მოდით, კიდევ უფრო გავაერთიანოთ ჩვენი ღონისძიებანი, რათა შევასრულოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანა — სრულად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი ტვირთზიდვაზე, უზრუნველვყოთ ყველა სახეობის ტრანსპორტის მუშაობის ზუსტი ურთიერთმოქმედება!

მოგმართავთ თქვენ, ამხანაგო რკინიგზების მშენებლებო, და მხურვალედ მოგიწოდებთ გავაძლიეროთ მუშაობა რკინიგზის ტრანსპორტის განსავითარებლად. საერთო ძალღონით უფრო სწრაფად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები, გავაუმჯობესოთ მშენებლობის ხარისხი, შევამციროთ მისი ღირებულება, დროზე გადავცეთ საექსპლოატაციოდ ყველა ობიექტი!

ცნობილია, რომ რკინიგზის ტრანსპორტს დიდ დახმარებას უწევენ ახალგაზრდა მშენებლები, ლენინური კომკავშირის წარმოგზავნილები. მოგმართავთ თქვენ, ახალგაზრდა მეგობრებო, და მოგიწოდებთ ამრავლოთ ღონისძიებანი რკინიგზების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში!

ძვირფასო მეგობრებო, ამხანაგებო შრომაში!

საბჭოთა მიწაზე ძლევამოსილად მიდის პარტიის XXII ყრილობის მიერ დამტკიცებული სკპ დიდი პროგრამის პრაქტიკული განხორციელების პირველი წელი. გავაკეთოთ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ დიდებული გეგმები, რომლებიც პარტიის პროგრამამ დაუსახა რკინიგზის ტრანსპორტს, და უკვე მიმდინარე — 1962 წელს ავამოქმედოთ მთელი ჩვენი რეზერვები ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენი მიზნები ნათელია, ამოცანები — გარკვეული. მოგიწოდებთ ახალი დიდი საქმეებისათვის. შევიტანოთ ჩვენი ღირსეული წვლილი კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, მთელი ჩვენი უნარი, ჩვენი საუკეთესო გულისთქმა და მთელი მგზნებარება მოვახმაროთ კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის უსწრაფეს განხორციელებას, კომუნიზმისა, რომელიც ამკვიდრებს დედამიწაზე მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, ყველა ხალხის თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას!

ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწე მოსკოვში

მოსკოვი, 11 მაისი. (საქდესი). გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორის ა. ი. აჯუბეის მოწვევით დღეს აქ ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე პრესის საკითხებში პიერ სელინჯერი, რომელსაც ახლავს ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს დირექტორის მოადგილე ტ. სორენსენი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი ა. აკალოვსკი.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს პ. სელინჯერი შეხვდება საბჭოთა ჟურნალისტებს, გაეცნობა გაზეთების „პრავდისა“ და „იზვესტიის“ მუშაობას, დაათვალიერებს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ფილოსოფოსთა, ფიზიოლოგთა და ფსიქოლოგთა თათბირი

მოსკოვი, 11 მაისი. (საქდესი). დღეს მეცნიერთა სახლში მუშაობა დაამთავრა სრულიად საკავშირო თათბირმა უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის ფილოსოფიურ საკითხებზე. მან მეცნიერთა საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიპყრო.

გულისწყრომა, პროტესტი...

MOTHERS
AGAINST
WAR

ამერიკა ვაშინგტონი. ინგლისის ქალთა წარმომადგენლები ენ კერი და ჯუდიტ კუკი 10 თვის ბავშვიანად, რომლებიც იმისათვის ჩავიდნენ, რომ გამოთქვან პროტესტი ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ. პლაკატზე წარწერაა: „დედები ომის წინააღმდეგი არიან“.

ფოტო აპ — საქდესისა.

იაპონია ტოკიოს პოლიციელები უსწორდებიან სტუდენტთა მასობრივი დემონსტრაციის მონაწილეებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო შენობის წინ. იაპონელი ახალგაზრდობა გულისწყრომით აცხადებს პროტესტს ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები შობის კუნძულზე აწარმოებენ.

ფოტო აპ — საქდესისა.

საერთაშორისო ცხოვრება
დეპეშები ცნობები მიმოხილვა

ახალი კუბა ივლის რევოლუციის გზით

ფიდელ კასტროს სიტყვა

ჰავანა, 11 მაისი. (საქდესი). ამას წინათ მატანსასის პროვინციაში გაიმართა კუბის გაერთიანებულ რევოლუციურ ორგანიზაციათა პროვინციული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა პროვინციათა გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების მდგომარეობის საკითხი. საბოლოო სიტყვა პლენუმზე წარმოთქვა კუბის პრემიერ მინისტრმა და გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების პირველმა მდივანმა ფიდელ კასტრომ. მისი სიტყვა გუშინ კუბის პრესაში გამოქვეყნდა.

კასტრომ, კერძოდ, განაცხადა, რომ ხანგრძლივი და გულმოდგინე განხილვის შემდეგ გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების ეროვნული ხელმძღვანელობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა ხალხს აუხსნას მდგომარეობა, რომელიც გაერთიანებულ რევოლუციურ ორგანიზაციებში შეიქმნა. ჩვენ ბევრი შეცდომა ჩავიდინეთ, თქვა მან. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ამ შეცდომებს დამღუპველი გავლენა მოეხდინათ რევოლუციაზე. მიუხედავად შეცდომებისა, რევოლუციის საქმე წარმატებით მიდიოდა და მიდის წინ. კასტრომ ხაზი გაუსვა, რომ კონტრრევოლუციური ელემენტები ამ შეცდომებს იყენებდნენ, რათა შეერყიათ ხალხის რწმენა რევოლუციის ხელმძღვანელებისადმი.

ფიდელ კასტრომ თავის სიტყვაში კვლავ გააკრიტიკა გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების საორგანიზაციო საკითხთა ყოფილი მდივნის ანიბალ ესკალანტეს ხელმძღვანელობის არასწორი მეთოდები, რომელიც სექტანტობას ნერგავდა და ამის გამო მოხსნეს პოსტიდან და გამოიყვანეს გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების ეროვნული ხელმძღვანელობის შემადგენლობიდან.

თუ სწორად გამოვიყენებთ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, განაგრძო კასტრომ, შევძლებთ შეცდომების გამოსწორებას, შევძლებთ სექტანტობისა და მის მსგავს მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლას. ამისათვის საჭიროა გავაუმჯობესოთ მასებში რევოლუციური მუშაობის ხარისხი.

ფიდელ კასტრომ გამოთქვა რწმენა, რომ რევოლუცია თავის გზას არ ასცდება. ჩვენ მტკიცედ უნდა გვწამდეს, ხაზი გაუსვა მან, რომ ერთი წლის შემდეგ დღევანდელზე უფრო ძლიერი და ბევრად უკეთესი ვიქნებით. ჩვენთვის, ყველა რევოლუციონერისათვის, ბედნიერებაა, რომ ყველა ამ შეცდომას დროზე ვასწორებთ და ვიღებთ კოლექტიური ხელმძღვანელობისა და მასებთან მჭიდრო კავშირის სწორი მარქსისტულ-ლენინური გზით.

დასასრულ ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ ამჟამად საჭიროა დავძლიოთ და დროზე ვასწოროთ შეცდომები, რათა კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტია, რომელიც ამჟამად იქმნება, მაგალითი გახდეს ლათინური ამერიკის ყველა ხალხისათვის.



ა ი ვინ აწერინებს ბონელ მჯღაბნელებს.

კარიკატურა გაზეთ „იუნგე ველტიდან“, ბერლინი.

ვენა და ჰალიფაქსი მიესალმებიან საბჭოთა კოსმონავტებს

ლინცი, 11 მაისი. (საქდესი). საბჭოთა კოსმონავტმა ი. ა. გაგარინმა, რომელიც ავსტრიაში იმყოფება, დღეს დილით დაიწყო მოგზაურობა ამ ქვეყანაში.

მას ახლავან ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ხელმძღვანელი მოღვაწენი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში ვ. ი. ავილოვი.

ი. ა. გაგარინი მიიღეს ზემო ავსტრიის პროვინციის მთავრობის მეთაურმა გ. გლაისნერმა და ლინცის ვიცე-ბურგომისტრმა ტ. გრილმა.

მთავრობის, პროვინციისა და ქალაქ ლინცის მცხოვრებთა სახელით ისინი გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა კოსმონავტს და აღტაცება გამოთქვეს მისი უმაგალითო გმირობის გამო.

ნაშუადღევს გაგარინი ეწვია უდიდეს მეტალურგიულ საწარმოს „ფესტს“.

ოტავა, 12 მაისი. საქდესის კორესპონდენტი ა. ჟიგულევი იუწყება: სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი გ. ს. ტიტოვი, რომელიც შეერთებული შტატებიდან სამშობლოში ბრუნდება, დღეს რამდენიმე საათით შეჩერდა კანადის ქალაქ ჰალიფაქსში (ახალი შოტლანდიის პროვინცია).

კანადაში სსრ კავშირის ელჩის თანხლებით გ. ს. ტიტოვი თავაზიანობის ვიზიტად ეწვია ახალი შოტლანდიის პროვინციის გუბერნატორს ე. პლოუს, პროვინციის პრემიერს რ. სტენფილდსა და ჰალიფაქსის მერს ჯონ ლოიდს.

საბჭოთა კოსმონავტი ეწვია აგრეთვე უნივერსიტეტს.

ჰალიფაქსის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ სადილი გამართა სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის პატივსაცემად.

ტელეგრაფი გვატყობინებს

☐ **რომი**, 11 მაისი. (საქდესი). საზეიმო ცერემონიის დროს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის ლეონეს, დეპუტატთა პალატის წევრების, სენატორებისა და მინისტრების თანდასწრებით რესპუბლიკის ახალმა პრეზიდენტმა ანტონიო სენიმ დადო ფიცი და ოფიციალურად შეუდგა თავის მოვალეობათა შესრულებას.

☐ **ვაშინგტონი**, 12 მაისი. (საქდესი). გუშინ შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს ატომური იარაღის აფეთქება წყალქვეშა. როგორც აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიის განცხადებაში, წყალქვეშა აფეთქება განხორციელდა წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში.

ეს მეცხრე აფეთქებაა ატომური იარაღის გამოცდის სერიისა, რომელსაც ამჟამად აწარმოებენ შეერთებული შტატები.

☐ **ნიუ-იორკი**, 11 მაისი. (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იმოწმებს ინფორმირებულ წრეებს და იუწყება, რომ ამერიკელი კოსმონავტის კარპენტერის დედამიწის გარშემო ორბიტაზე გაშვება, რაც 17 მაისს იყო დანიშნული, რამდენიმე დღით გადაიდო.

ინფორმირებულ წრეებში აღნიშნავენ, რომ ვადის გადადება საჭიროა, რათა გამოასწორონ კოსმოსური ხომალდის კაბინის მდგომარეობის საკონტროლო სისტემის დეფექტები.

ესპანელი ხალხის მრისხანება

პარიზი, 11 მაისი. (საქდესი). საგაფიცვო მოძრაობა ფრანკისტულ ესპანეთში სულ ახალ-ახალ რაიონებს ედება. იგი გავრცელდა ახალ კასტილიაში, კორდოვაში, ლინარესსა და კანარის კუნძულებზე.

ათიათასობით მშრომელმა შეწყვიტა მუშაობა ხაენისა და პუერტოლიანოს რაიონში, სადაც არის დიდი ნავთობქიმიური საწარმოები. კადიქსში გაფიცვა შეეხო გემთსაშენებს. კატალონიაში გაფიცულებს მიემხრნენ ბარსელონის, მატაროს, სან-ანდრესის, ვილიანუევის რამდენიმე საფეიქრო ფაბრიკის, სიგოლსისა და სურიის ქვანახშირის შახტების მუშები.

სულ უფრო შეუპოვარ ხასიათს იღებს ბრძოლა ბილბაოს რაიონში, სადაც, როგორც ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, გაფიცულია 45 ათასი მუშა.

„მჯდომარე გაფიცვა“ მოაწყვს ბილბაოს რაიონში მდებარე ფოლადსამსხმელო ქარხნის მთელი რიგი საამქროების, აგრეთვე „ფირსტონ — ესპანეთის“ ავტოსაბურავების ფაბრიკის მუშებმა, რომელშიც დასაქმებულია 1250 კაცი.

ლეონის პროვინციაში გაიფიცა კიდევ სამი ათასი მეშახტე. ასტურიაში, თვით ფრანკისტულ ხელისუფალთა აღიარებითაც კი, გაფიცვას განაგრძობს 30 ათასი მაღაროელი.

დედაქალაქის მუშათა უბნებში ფართოდ ვრცელდება ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ საყოველთაო გაფიცვისაკენ. მოვითხოვთ სამართლიან ხელფასსა და ჩვენს თავისუფლებებს, ნათქვამია ამ ფურცლებში. დროა ვიმოქმედოთ ყველამ ერთად — კათოლიკებმა, კომუნისტებმა, სოციალისტებმა, ლიბერალებმა და უპარტიოებმა — ურყევად და დაუყოვნებლივ.

ფურცლები, რომლებიც მშრომელებს მოუწოდებენ სოლიდარობა გამოუცხადონ გაფიცულებს, გაავრცელეს აგრეთვე ბარსელონასა და ესპანეთის სხვა ქალაქებში.

როგორც გაზეთების „მონდისა“ და „კრუას“ სპეციალური კორესპონდენტები იუწყებიან, დააპატიმრეს ასობით მუშა, რომლებსაც ბრალს დებენ, რომ ისინი არიან „კომუნისტები“ ან „მეამბოხეები“. მაგრამ ყოველივე ამან ვერ გატეხა მშრომელთა ნებისყოფა. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ადგილებზე გაგზავნილმა მთავრობის ჯარებმა ვერ შეაშინეს გაფიცულები, სწორედ ისევე, როგორც ისინი ვერ შეაშინეს დაპატიმრებებმა, ქარხნების დახურვამ და სხვა რეპრესიებმა, რასაც ფრანკისტული ხელისუფალნი ახორციელებენ.

„1962 წელი გადამწყვეტია დიქტატურის დამხობაში“, „უნივერსიტეტი მუშებთან ერთად არის“, — ნათქვამია ფურცლებში, რომლებსაც გუშინ ავრცელებდნენ სტუდენტები, რომლებმაც დემონსტრაცია მოაწყეს ბარსელონაში. რამდენიმე ასეული სტუდენტი გავიდა მოედანზე უნივერსიტეტის შენობის წინ და მღეროდნენ სიმღერებს ასტურიის, იმ ოლქის შესახებ, რომელმაც დაიწყო ესპანეთის ისტორიაში უპრეცედენტო ახლანდელი გაფიცვა.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება მადრიდიდან, პოლიცია სასტიკად გაუსწორდა გაფიცვის მონაწილეებს.

ხიროსიმას ტრაგედია არ უნდა განმეორდეს

ჟენევა, 11 მაისი. (საქდესი). 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის თანათავმჯდომარეებმა ვ. ა. ზორინმა (სსრ კავშირი) და ა. დინმა (ამერიკის შეერთებული შტატები) 18 სახელმწიფოს კომიტეტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლის უ ტანის სპეციალურ წარმომადგენელს ლუტფის გაუგზავნეს წერილი, რომელშიც სთხოვენ გაავრცელოს როგორც კომიტეტის ოფიციალური დოკუმენტები ხიროსიმას მცხოვრებთა მოწოდება და ქალაქ ხიროსიმას მშვიდობისათვის ლაშქრობის მონაწილეთა კომიტეტის წერილი.

როცა ატომური ბომბი აფეთქდა, წერს მოწოდებაში ხიროსიმას მცხოვრები მიიოკო მაცუბარა, მე 12 წლისა ვიყავი. მე და 320 ჩემი სკოლის ამხანაგი ვმუშაობდით იმ ადგილზე, რომელიც ერთი მილით იყო დაშორებული აფეთქების ადგილს. ცოცხალი დარჩა მხოლოდ 55 ჩემი მეგობარი. ბევრი ჩვენგანი მრავალი თვის განმავლობაში მკურნალობდა სიდამწვრეს და ავზნიანი ხასიათის ნაიარევთა მორჩენის მიზნით. მე თვითონ გადავიტანე 8 ოპერაცია, მაგრამ ეს ნაიარევები კვლავ არაერთხელ გამიჩნდა. ზოგიერთი ჩემი მეგობარი გარდაიცვალა კიბოსაგან, სხვები ლეიკემიისა და რადიოაქტიური მოსხივებით გამოწვეული სხვა ავადმყოფობებისაგან.

ეს ტრაგედია არ უნდა განმეორდეს სადმე მსოფლიოში. ჩვენ გულწრფელად გამოვთქვამთ იმედს, რომ უახლოეს დროში განხორციელდება მსოფლიო განიარაღება.

ჩვენ გადაჭრით ვილაშქრებთ ატომური იარაღის მარაგის დაგროვებისა და მისი გამოცდის წინააღმდეგ ყოველ ქვეყანაში, ყოველ ადგილსა და ყოველ დროს.

მე ჩამოვედი ხიროსიმადან, წერს მოწოდებაში ხიროსიმას სხვა მცხოვრები ხირომასა ხანახუსა, რათა მოვუწოდო მსოფლიოს სინდისს, რომ არასოდეს არ განმეორდეს ამ ქალაქის ტრაგედია.

ჩემი მშობლები და ყველა ნათესავი, გარდა დიდედისა, რომლებიც ატომური ბომბის აფეთქების მსხვერპლი გახდნენ, დაიღუპნენ, როცა მე ორი წლისა ვიყავი. ატომური ბომბის აფეთქების შემდეგ ხიროსიმაში ობლად დარჩა 8.000-ზე მეტი ბავშვი. გარდა ამისა, აფეთქების მომენტიდან თითქმის ჩვიდმეტი წლის განმავლობაში კიდევ უფრო მეტი ბავშვი დაობლდა ამ აფეთქების შედეგების გამო.

ჩვენ ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრების უფლება გვაქვს და მოვითხოვთ შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა ყველა ქვეყანაში, შეწყდეს გამალებული შეიარაღება.

ჩვენ, ვინც პირველად განვიცადეთ ატომური საშინელებანი, მოვითხოვთ განხორციელდეს საყოველთაო განიარაღება და აიკრძალოს ატომური იარაღის წარმოება, გამოცდა და გამოყენება საყოველთაო განიარაღების ფარგლებში.

ჩვენ, ხიროსიმას 460.000 მოქალაქე, მათ შორის 90.000, რომლებმაც გადაიტანეს ეს დღე, გულწრფელად და დაჟინებით მოვითხოვთ, გჯწამს რა ადამიანის მომავალი და მისი დიდება, რომ თქვენ, იმ ქვეყნების დელეგატები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობაში, შეეცადოთ დაიდოს შეთანხმება განიარაღების შესახებ, რომელიც მთელ მსოფლიოს მოიცავს.

ლონდონი **დიდი ბრიტანეთის** მთელი საზოგადოებრიობა გულისწყრომით აცხადებს პროტესტს ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები შობის კუნძულზე აწარმოებენ. მშვიდობისათვის მებრძოლებმა პიკეტები დააყენეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობასთან ლონდონში.

სურათზე: ჯდომელა დემონსტრაციის მონაწილეთა ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შესასვლელთან.

ფოტო აპ — საქდესისა.

ს. რადჰაკრიშნანი ინდოეთის პრეზიდენტია

დელი, 11 მაისი. (საქდესი). დოქტორი სარვაპალი რადჰაკრიშნანი არჩეულია ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად გადამდგარი დოქტორი რაჯენდრა პრასადის ნაცვლად.

დოქტორი რადჰაკრიშნანი ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და მსოფლიოში განთქმული ფილოსოფია. იგი დაიბადა 1888 წელს. განათლება მიიღო მადრასის კოლეჯში და ავტორია მრავალი მეცნიერული ნაშრომისა, მათ შორის მონუმენტური ორტომიანი ნაწარმოების „ინდური ფილოსოფია“, რომელიც ფართოდ არის ცნობილი ინდოეთის ფარგლებს გარეთ. ს. რადჰაკრიშნანი იყო ინდოეთის დიდი უნივერსიტეტების — დელის, ბენარესისა და სხვა უნივერსიტეტების კანცლერი და ვიცე-კანცლერი. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ბრიტანეთის ბატონობის წინააღმდეგ.

1952-დან 1962 წლამდე იყო ინდოეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი. ვიცე-პრეზიდენტად არჩევამდე მას სამი წლის განმავლობაში ეჭირა ინდოეთის ელჩის პოსტი საბჭოთა კავშირში.

13 მაისს სარვაპალი რადჰაკრიშნანი საჯარო ფიცს დადებს როგორც ინდოეთის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი.

მეგობრობისა და მშვიდობის ნიშნით

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პლენუმი

11 მაისს გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის პლენუმი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თვალსაჩინო მეცნიერებმა, მწერლებმა, მხატვრებმა, არქიტექტორებმა, მსახიობებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, სამრეწველო საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა წარმომადგენლებმა.

მოხსენება 1961 წელს წარმოებული მუშაობისა და მორიგი ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ა. გიგოშვილმა**.

პლენუმზე მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ **ვ. ბერიძემ**, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ, პროფესორმა **დ. ლორთქიფანიძემ**, საქართველოს სახალხო მხატვარმა, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სახვითი ხელოვნების სექციის პრეზიდენტმა **ლადო გუდიაშვილმა**, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მედიცინის სექციის პრეზიდენტმა, პროფესორმა **ნ. ჯავახიშვილმა**, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექციის პრეზიდენტმა, პროფესორმა **პ. გუგუშვილმა**, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ე. გოკიელმა** და თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ტექნოლოგმა **ვ. კოლეიკომ**.

პლენუმზე გამოვიდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის წევრი **ლ. კისილოვა**.

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება.

დასასრულ პლენუმმა აირჩია საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმი.

დიდი მეცნიერი და მოქალაქე

აკადემიკოს ა. დ. ზურაბაშვილის დაბადების 60 და მეცნიერული მოღვაწეობის 35 წლისთავის გამო



სამედიცინო მეცნიერებათა შორის ერთ-ერთ რთულ და მძიმე კლინიკურ დარგს ფსიქიატრია წარმოადგენს. იგი რთულია თავისი პრაქტიკულ-კლინიკური საქმიანობით, განსაკუთრებით კი თეორიული და მეცნიერული თვალსაზრისით. ამავე დროს თავისი მოწოდებითა და დანიშნულებით ძალზე ჰუმანურია.

ფსიქიატრიის ორგანიზაციის, ფსიქიკურ დაავადებათა კლინიკის, ფსიქოზთა პათობიოლოგიური საფუძვლების დადგენისა და მკურნალობის რთული საკითხების დაზუსტების საქმეს 35 წლის მანძილზე განსაკუთრებული დაძაბულობით, დიდი ნაყოფიერებითა და მნიშვნელოვანი წარმატებებით ემსახურება მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ავლიპი დავითის-ძე ზურაბაშვილი.

ა. ზურაბაშვილი დაიბადა 1902 წლის 15 თებერვალს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში. სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას აგრძელებს თბილისის რეალურ სასწავლებელში, რომელსაც 1920 წელს ამთავრებს; იმავე წელს ავლიპი ზურაბაშვილი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ ფაკულტეტზე; აქედან გადადის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელსაც 1926 წელს წარჩინებით ამთავრებს.

ფსიქიატრიაში მუშაობა ა. ზურაბაშვილმა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში — 1924 წლიდან დაიწყო. სტუდენტობის დროს შესრულა თავისი პირველი მეცნიერული ნაშრომი. 1926 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ა. ზურაბაშვილი დაინიშნა ფსიქიატრიის კათედრის ორდინატორად, ხოლო 1928 წელს არჩეულ იქნა იმავე კათედრის ასისტენტად.

ა. ზურაბაშვილმა იმთავითვე მიიპყრო ფსიქიატრიის კათედრისა და ფსიქიატრიის ინსტიტუტის მთელი კოლექტივის ყურადღება, როგორც განსაკუთრებით ნიჭიერმა, შრომისმოყვარე, ენერგიულმა, დაკვირვებულმა და წესიერმა მუშაკმა.

ჩვეული მუყაითობით, დიდი ენერგიით შეუდგა იგი ფსიქიატრიის თეორიისა და პრაქტიკის რთული საკითხების შესწავლას. ამავე დროს ა. ზურაბაშვილი, როგორც ცნობილი მოღვაწის პროფესორ მიხეილ ასათიანის უახლოესი მოწაფე, ეწევა მრავალმხრივ მუშაობას საქართველოში ფსიქიატრიული კადრების აღზრდის, ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზაციისა და ფსიქიატრიული ტერმინოლოგიის შექმნის საქმეში. მისი ინიციატივითა და პირადი მონაწილეობით ჩამოყალიბდა კლინიკური და ექსპერიმენტული ლაბორატორიები. ამ პერიოდშივე იგი აქვეყნებს მთელ რიგ მეცნიერულ ნაშრომებს ფსიქიატრიის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე. 5-6 წლის განმავლობაში ა. ზურაბაშვილმა მოიხვეჭა დიდი შემოქმედებითი უნარის მქონე და პერსპექტიული მკვლევარის სახელი. ამ პერიოდში პროფესორი მ. ასათიანი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. ა. ზურაბაშვილს იმთავითვე ესმოდა, რომ ფსიქიატრიის რთული საკითხების დაზუსტება თავის ტვინის ნატიფი აღნაგობისა და ფუნქციის დეტალურად შეუსწავლელად სრულყოფილი არ იქნებოდა. მან გადაწყვიტა ფსიქიატრიის კლინიკის პარალელურად დაუფლებოდა ნეირომორფოლოგიური კვლევის მეთოდებსაც.

1931 წელს ა. ზურაბაშვილი მივლინებულ იქნა ქ. ლენინგრადში, სადაც დაახლოებით 8 წლის განმავლობაში იღრმავებდა ცოდნას გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერების ხელმძღვანელობით. კლინიკური ფსიქიატრიის საკითხებს ის სწავლობდა კიროვის სახელობის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ფსიქიატრიის კლინიკაში, ხოლო ნეირომორფოლოგიის საკითხებს ვ. ბეხტერევის სახელობის ტვინის ინსტიტუტში, ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტისა და საკავშირო ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტის ლაბორატორიებში. იგი აგრეთვე დიდ დროს უთმობდა პათოფიზიოლოგიის საკითხების შესწავლას, რაშიც განსაკუთრებით ხელს უწყობდა ი. პავლოვთან ნაცნობობა და კონსულტაციები.

ლენინგრადში მუშაობის პერიოდში ა. ზურაბაშვილმა მოიხვეჭა ნიჭიერი მეცნიერისა და სამაგალითო მუშაკის სახელი. მასზე, როგორც პერსპექტიულ ახალგაზრდა სწავლულზე, წერდნენ გაზეთები „ლენინგრადსკაია პრავდა“ და „იზვესტია“.

1934 წელს ვ. ბეხტერევის სახელობის ტვინის ინსტიტუტში ა. ზურაბაშვილმა ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში 1937 წელს. მან ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, სადაც დაადგინა ახალი კანონზომიერებანი და წამოაყენა სრულიად ახალი დებულებები ადამიანის თავის ტვინის ქერქის ონტოგენეზური განვითარების შესახებ. ამ დისერტაციებმა თავისი მდიდარი მასალითა და ორიგინალური შემოქმედებითი განზოგადებით ავლიპი ზურაბაშვილს ღირსეული ადგილი მოუპოვა ნეირომორფოლოგიაში ონტოგენეზური მიმართულების დამაარსებელთა შორის.

1938 წლის იანვრიდან დღემდე პროფესორი ავლიპი ზურაბაშვილი ნაყოფიერად ხელმძღვანელობს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობას, როგორც მისი უცვლელი დირექტორი. 1938 წლიდან 1960 წლამდე იგი განაგებდა აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრას. 1950 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ტვინის განყოფილებას.

ა. ზურაბაშვილის ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნიდან იწყება საქართველოში სამეცნიერო-პრაქტიკული ფსიქონევროლოგიური აზრის მკვეთრი აღმავლობა. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 700-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 38 დისერტაცია, აქედან 12 სადოქტორო და 26 საკანდიდატო.

ა. ზურაბაშვილის მიერ შესრულებულია 144 მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე. მათ შორის 12 მონოგრაფია. მისი ხელმძღვანელობით გამოშვებულია მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის მეცნიერულ შრომათა 10 ტომი. მის მიერ შედგენილია სტუდენტთა და ექიმთათვის ფსიქიატრიის ვრცელი სახელმძღვანელო, რომელიც უკვე სამი გამოცემით გამოქვეყნდა.

აკადემიკოს ა. ზურაბაშვილის გამოკვლევებს ყოველთვის დიდი ინტერესით ხვდება სამეცნიერო წრე და დიდი შემოქმედებითი გამოხმაურება აქვს როგორც საბჭოურ, ისე უცხოურ სპეციალურ ლიტერატურაში. მისი უკანასკნელი მონოგრაფიის — „ზოგიერთი კლინიკურ-თეორიული ძიებანი ფსიქიატრიაში“ თარგმანი მოთავსებულია ფრანგულ და ინგლისურ ჟურნალებში.

სინაფსოარქიტექტონიკისა და პათოსინაფსოარქიტექტონიკის დარგში დიდი მნიშვნელობის გამოკვლევებისათვის 1955 წელს ა. ზურაბაშვილს მიეკუთვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია.

1945 წელს ავლიპი ზურაბაშვილს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება: 1946 წელს იგი არჩეულ იქნა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1955 წელს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 1960 წელს — სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1962 წლის თებერვალში ა. ზურაბაშვილი აირჩიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულ ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის „იბროს“ წევრად.

დაუშრეტელი, დაუღალავი, მუდამ ახალგაზრდული ენერგია შესაძლებლობას აძლევს მეცნიერს დაძაბულ შემოქმედებით კვლევასთან ერთად აწარმოოს დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობა და იყოს თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი და ღირსეული მოამაგე. იგი არის თბილისის საქალაქო საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ორი მედლითა და „ჯანდაცვის წარჩინებულის“ ნიშნით. 1940 წლიდან იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია. აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო სამეცნიერო საბჭოს წევრია, იგი წევრია საქართველოს 6 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსი და საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა, არის ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ს. კორსაკოვის სახელობის საკავშირო ჟურნალის „ნევროპათოლოგია და ფსიქიატრია“ — სარედაქციო საბჭოს წევრი, აგრეთვე ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრი და ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საქართველოს სამედიცინო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე. ა. ზურაბაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობაში.

ავითარებს რა კლინიკური ფსიქიატრიის კორიფეების საუკეთესო ტრადიციებს, აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი მტკიცედ დგას იმ პოზიციებზე, რომ შიზოფრენია წარმოადგენს კლინიკური და თეორიული ფსიქიატრიის საკვანძო პრობლემას და ამიტომ შიზოფრენიის თეორიისა და პრაქტიკისაგან განუყოფელია საერთოდ ფსიქიატრიის თეორია და პრაქტიკა. ამ დებულებას იგი ავითარებს მთელ რიგ კლინიკურ და თეორიულ შრომებში.

როგორც ი. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების დიდი მიმდევარი ა. ზურაბაშვილი თავის გამოკვლევებში საკმაო ყურადღებას უთმობს ფსიქოპათოლოგიურ გამოვლინებათა ნეიროდინამიკური საფუძვლების შესწავლას. ა. ზურაბაშვილის მიერ შემოღებულია სიტყვიერი (ასოციაციური) ექსპერიმენტის 8 ვარიანტი. აღნიშნულმა ვარიანტებმა, რომელთა საფუძვლად აღებულია სიტყვიერ გამღიზიანებელთა სემანტიკური სირთულე, ფართო გამოყენება ჰპოვეს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე სახალხო დემოკრატიული ქვეყნების მკვლევარებს შორისაც.

იუბილარის უმნიშვნელოვანესი შრომები ეხება ფსიქიატრიაში ნოზოლოგიის პრობლემას, ფსიქოზთა მკურნალობის საკითხებს, შიზოფრენიის კლინიკას, ნეიროდინამიკას და თეორიას, აგრეთვე შიზოფრენიისა და ეპილეფსიის ელექტროენცეფალოგრაფიის საკითხებს. როგორც მკვლევარი, იგი არის კლინიკური და ლაბორატორიული ექსპერიმენტის უდიდესი მცოდნე. ამ მხრივ მას აქვს შესრულებული მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეპილეფსიისა და რადიობიოლოგიაში. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი აყენებს დებულებას ნერვული ქსოვილის რადიომგრძნობელობის შესახებ მაიონიზირებელი დასხივების მიმართ.

ა. ზურაბაშვილის მრავალრიცხოვანი ნეირომორფოლოგიური ხასიათის შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კაპიტალური მონოგრაფია „სინაფსები და ნერვულ უჯრედთა აღდგენადი ცვლილებები“. ავტორის მიერ მოცემულია ახალი ცნებები და დასმულია ახალი პრობლემები. აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თეორიული და კლინიკური ნევროპათოლოგიისა და ფსიქიატრიისათვის.

სინაფსოარქიტექტონიკისა და პათოსინაფსოარქიტექტონიკის კონცეფციის დასაბუთებამ და განვითარებამ სრულიად დამსახურებულად უზრუნველყო ავლიპი ზურაბაშვილის აღიარება სინაფსოარქიტექტონიკური მიმართულების დამაარსებლად ნეირომორფოლოგიაში.

აკადემიკოს ა. ზურაბაშვილის ნეირომორფოლოგიური გამოკვლევები ფართო გამოხმაურებასა და დადებით აღიარებას იწვევს როგორც საბჭოურ მეცნიერებაში, ისე საზღვარგარეთის მეცნიერებაშიც.

ავლიპი ზურაბაშვილს ახასიათებს განსაკუთრებული ნიჭი და დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, დაუშრეტელი შრომითი ენერგია, იშვიათი ორგანიზებულობა, დროის მაქსიმალურად და რაციონალურად განაწილება, ახლის გრძნობა, მაღალი მორალური მოქალაქეობრივი თვისებები, მუდმივი ოპტიმიზმი, თავმდაბლობა, ყველას მიმართ კეთილი და გულისხმიერი განწყობილება, ამავე დროს პირდაპირობა და პრინციპულობა, უდიდესი პატრიოტული სულისკვეთება.

ვუსურვოთ ღრმად პატივცემულ აკადემიკოს ავლიპი ზურაბაშვილს, ამ დიდ მეცნიერს, გამოჩენილ კლინიცისტს, კარგ ადამიანსა და ღირსეულ მოქალაქეს ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და შემდგომი შემოქმედებითი გამარჯვებანი კეთილშობილურ მოღვაწეობაში ჩვენი საყვარელი სამშობლოს სასახელოდ და სადიდებლად.

პროფესორი
ე. გობრონიძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

მისაბაძია!

საჩხერე. (საკ. კორ.). კარგი თაოსნობა გამოიჩინა თბილისის მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა. იგი შეფობას უწევს საჩხერის რაიონის სამშობიარო სახლს. აქ ხშირად ნახავთ დოცენტ ელეონორა მესხს, რომელიც საფუძვლიან რჩევა-დარიგებას აძლევს სამშობიარო სახლის მუშაკებს, პრაქტიკულად ეხმარება მათ.

ე. მესხის თაოსნობით სამშობიარო სახლის მუშაკები ესტუმრნენ სოფლებს: მერჯევს, კორბოულს, ჯალაურთას, ჭალას, ჩიხას, არგვეთს; საბჭოთა მეურნეობას, ღვინის ქარხანას. ისინი რჩევა-დარიგებას აძლევდნენ ქალებს, მკურნალობდნენ მათ.

ასე იზარდა, ასე ამაღლდა...

ხუთი თაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ეს ადამიანები სხვადასხვა თაობას ეკუთვნიან, სხვადასხვა გზა აქვთ გავლილი, სხვადასხვა დროს გამოსულან ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ ერთი აქვთ საერთო — მეცნიერების სიყვარული, ცოდნის უშრეტი წყურვილი, თავისი ხალხისადმი, სამშობლოსადმი სამსახური. მათ ერთიმეორეს გადასცეს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება. ისინი ემსახურებიან ყველაზე დიდ და საპატიო საქმეს — ტექნიკური ინტელიგენციის აღზრდას, ადამიანებში ცოდნის გავრცელებას.

ახლა, როდესაც საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს არსებობის ორმოცი წელი შეუსრულდა, ისინი მრავალათასიან კოლექტივთან ერთად აჯამებენ თავიანთ ნამოღვაწარს და წინ, მომავლისაკენ იხედებიან, რადგან ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რადგან მათ ძალა და ცოდნა ჯერ კიდევ ბევრი აქვთ.

ეს ადამიანები თითქოს ჯაჭვივით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

უხუცესი პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე **გიორგი მუხაძე** პოლიტექნიკური ინსტიტუტის არსებობის დღიდან მოღვაწეობს აქ. მისი ხელმძღვანელობით პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრაზე მრავალი ნიჭიერი სპეციალისტი აღიზარდა, მათ შორის ამავე კათედრის პროფესორი **ალექსანდრე კაკუშაძე**, რომელიც უკვე სამი ათეული წელია ამ ინსტიტუტში და ამ კათედრაზე მოღვაწეობს თავის ღვაწლმოსილ პედაგოგთან და კათედრის გამგესთან ერთად. ალექსანდრე კაკუშაძის ხელმძღვანელობით დაეუფლა მეცნიერებას დოცენტი **გიორგი შენგელია**, მისი ხელმძღვანელობით დაიცვა დისერტაცია. თავის მხრივ გიორგი შენგელიასაც ჰყავს მოწაფე — ასისტენტი **ნოშრევან ნამორაძე**. იგი სტუდენტების უშუალო ხელმძღვანელია ლაბორატორიაში და სამართლიანად ამაყობს სამშენებლო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტით ოთარ შენგელიათი. ამ ადამიანებს შორის ოთარი ყველაზე ახალგაზრდაა, იგი ჯერ სტუდენტია, მაგრამ მომავალი არის, და ვინ იცის ვის გადასცემს იგი თაობებისაგან გადმოცემულ ცოდნას.

ამჯერად ოთარზე შეწყდა თაობათა ჯაჭვი, მაგრამ საბოლოოდ იგი არასოდეს გაწყდება, რადგან ცოდნა თაობიდან თაობაზე გადადის და არავის ახსოვს ოდესმე გაწყვეტილიყოს.



* * *

სურათზე: (მარცხნიდან) პროფესორი გ. მუხაძე, დოცენტი გ. შენგელია, ასისტენტი ნ. ნამორაძე, სტუდენტი ო. შენგელია და პროფესორი ა. კაკუშაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ავტომატი „ესაუბრება“ ადამიანს

„გააჩერე, ვაგონი უკვე სადგურთან არის! — არ გეგონოთ, რომ ამ სიტყვებს ადამიანი წარმოთქვამს. ეს ელექტრონათურისა და ზარის სიგნალია, რომელსაც ისმენს ჯიხურში მყოფი მემანქანე და ამუხრუჭებს ჰაერში მოსრიალე ვაგონს. ცოტა ხანიც, და ჯიხურში წითელი ნათურა ინთება — ვაგონი უკვე სადგურთან არის. გზაზე მოძრაობა წყდება.

იკითხავთ, სად ხდება ეს ამბავი ან ვინ იძლევა გამაფრთხილებელ სიგნალებს.

ამ ორიოდე წლის წინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტის საჰაერო-საბაგირო ტრანსპორტის ლაბორატორიის მუშაკებმა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატებმა ვ. კალანდაძემ, ო. კერვალიშვილმა, უფროსმა ინჟინრებმა ა. სტეპანოვმა, ა. სულაბერიძემ და ნ. ჩხეტიამ პირველად საბჭოთა კავშირში შეიმუშავეს და გამოიყენეს რადიოაქტიური საგზაო გამომრთველები, რომლებიც სადგურთან მიახლოებისას ავტომატურად იძლევიან გამაფრთხილებელ სიგნალებს.

რადიოაქტიური გამომრთველების სასიგნალო ნიშნები ეხმარება მემანქანეს შეუფერხებლად მართოს მოძრაობა და აიცდინოს საფრთხე. ამავე დროს მნიშვნელოვნად იზრდება საჰაერო ტრანსპორტის წარმადობა.

სამთო საქმის ინსტიტუტის საჰაერო-საბაგირო ტრანსპორტის ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკები აგრძელებენ კვლევას რადიოაქტიური გამომრთველების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ამავე დროს ისინი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრონიკის კათედრის წევრებთან ერთად მუშაობენ საჰაერო-საბაგირო გზის ავტომატურ მართვაზე გადასაყვანად.

დაუდევრობა სიცოცხლის ფასად...

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში ნათლად არის ჩამოყალიბებული კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მორალური კოდექსი. იგი თვითეული საბჭოთა მოქალაქისაგან მოითხოვს კეთილსინდისიერ შრომას საზოგადოების საკეთილდღეოდ, ზრუნვას საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის, პატიოსნებასა და სიმართლეს, ზნეობრივ სიწმინდეს, უსამართლობისადმი შეურიგებლობას, ადამიანისადმი უმწიკვლო სიყვარულსა და მისი ბედნიერი ცხოვრებისათვის ზრუნვას.

მტკიცედ უნდა დავნერგოთ ეს პრინციპები და ისეთი ატმოსფერო უნდა შევქმნათ, რომელიც უკუღმართს კეთილ გზაზე დააყენებს; საზოგადოებრიობის მკაცრი მსჯავრი თანდათანობით უნდა გახდეს ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ჩვეულებათა გამოვლინების აღმოფხვრის მთავარი საშუალება.

ამ დიდი ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალება. ცხოვრების პრაქტიკული მაგალითებით, თვალსაჩინოდ უნდა ვუჩვენებდეთ, რა არის კარგი და როგორ უნდა დავნერგოთ იგი, რა არის ცუდი და როგორ ვებრძოლოთ მას.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ზოგიერთი ადამიანის ანტისაზოგადოებრივ საქციელზე, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა თვითეული მოქალაქის ვალია.

ცნობილია, რომ საქართველოს მდინარეები და ტბები მდიდარია მრავალი ძვირფასი ჯიშის თევზით. სამწუხაროდ, ამ შესანიშნავ სილამაზესა და სიმდიდრეს ამ ბოლო წლებში ზოგიერთი უკუღმართი ადამიანი უმოწყალოდ ანადგურებს. თუ გვსურს ჩვენს სუფრას ამშვენებდეს კალმახი და მურწა, წვერა და ორაგული, ლოქო და ჭანარი, უწინარეს ყოვლისა საჭიროა ვიზრუნოთ თევზის გამრავლებისათვის.

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ათასგვარი საწამლავითა და ფეთქებადი ნივთიერებებით სპობენ ჩვენს მდინარეებში თევზს და არც კი უფიქრდებიან, რა დიდ დანაშაულს სჩადიან ამით საზოგადოებისა და მომავალი თაობის წინაშე.

ამ დღეებში მილიციის ორგანოებმა პასუხისგებაში მისცეს ათობით მოქალაქე აღნიშნული ანტისაზოგადოებრივი ქმედობისათვის.

4 მარტს სოფელ უფლისციხესთან მტკვარზე დაკავებულ იქნენ გორის საქსოვი კომბინატის ელექტრიკოსი ვ. ს. მაისურაძე, გორის რკინიგზის სადგურის მუშაკები მ. ს. პავლიაშვილი და ნ. ც. ბასიშვილი, რომლებსაც მტკვარში მთელ სიგრძეზე გაეჭიმათ ბადე, გაეყვანათ წყალში ელექტროდები და ანადგურებდნენ თევზს — დიდსაც და პატარასაც.

მდინარე ალაზანზე ციხიანთ ყურეში დააკავეს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეები ქ. გ. თაიახოვი, გ. ა. კუპატაძე, გ. გ. ტატიშვილი და პარიკმახერი ი. ზ. კერიპჯირაშვილი, რომლებმაც ხუთი აფეთქება მოაწყეს მდინარეში.

ხაშურის რაიონში მდინარე მტკვარზე მილიციის მუშაკებმა წაასწრეს ხაშურის ავტოსატრანსპორტო კანტორის შოფერებს გ. ნ. ლომოურს, ხ. ს. ცხოვრებაძეს, გ. ნ. ჟურდაძეს, რ. ს. ჩინჩალაძეს და თბილქალაქვაჭრობის ტექნიკოსს დ. ა. თომაძეს, რომლებსაც დინამიტი ჰქონდათ გამზადებული წყალში ასაფეთქებლად.

ასეთი და მსგავსი დანაშაულებრივი მოქმედება უწინარეს ყოვლისა ამ ადამიანების შეგნების დაბალ დონეს უნდა მიეწეროს. ფართო საზოგადოებრიობაც ხშირად გულგრილობას იჩენს ამ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მეტად სუსტად მუშაობენ საქართველოს თევზდაცვის სამმართველო და „მონკავშირი“, რომლებსაც ყველა საშუალება მოეპოვებათ იმისათვის, რომ მკაცრი ბრძოლა აწარმოონ თევზის გამანადგურებელთა წინააღმდეგ.

ასევე სუსტად მუშაობენ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის საკონტროლო-სარევიზიო ორგანოები რესტორნებსა და სასადილოებში უფაქტურო ცოცხალი თევზის გამოვლინებისათვის.

არასახარბიელო მდგომარეობაა გარეულ ფრინველსა და ცხოველებზე ნადირობის საქმეში. სისტემატურად ირღვევა ნადირობის ვადები. ხშირად ნაკრძალის ზონებშიც იჭრებიან არაკეთილსინდისიერი მონადირეები, ამასთან უხეშად არღვევენ თოფის ხმარების წესებს, რაც ზოგჯერ ადამიანის სიცოცხლის ფასად ჯდება.

ამ ბოლო ხანებში გახშირდა არასრულწლოვანი ჭაბუკების მიერ სანადირო თოფებითა და მცირეკალიბრიანი შაშხანებით (გეკოებით) უნებართვოდ ნადირობა.

სამწუხაროდ, სანადირო იარაღის მფლობელი ბევრი მშობელი დაუდევრობას იჩენს იარაღის მოვლაში, არ უშლის ბავშვებს მის გამოყენებას ნადირობისა თუ გართობისათვის. ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ზოგჯერ იწვევს მცირეწლოვანთა დაღუპვას.

ამ დღეებში სოფელ ქარელში მცხოვრებმა 13 წლის ვ. ი. ყიფიანმა მშობლების დაუკითხავად წაიღო ტყეში მცირეკალიბრიანი შაშხანა. ნადირობის დროს, იმის გამო, რომ ყმაწვილი ამ შაშხანის ხმარების წესს არ იცნობდა, სრულიად შემთხვევით სიცოცხლეს გამოასალმა 13 წლის გ. ვალიშვილი.

უზედამხედველობის გამო ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში მცხოვრებმა 9 წლის ბიჭუნამ ტ. ჩ. სიჭინავამ მცირეკალიბრიანი შაშხანით შემთხვევით მოკლა თავისი მამიდა.

მარნეულის რაიონის სოფელ მუღალოში მცხოვრებმა 13 წლის ისმაილ ოღლიმ სანადირო თოფით მოკლა მოქალაქე გაჯიევი.

იარაღის მოუვლელობით გამოწვეული ასეთი სამწუხარო შემთხვევები არც ისე იშვიათია. ასეთი დაუდევრობა დიდი დანაშაულია და საგულისხმო უნდა იყოს იარაღის ყველა მფლობელისათვის.

ნადირობა შესანიშნავი სპორტია, ფიზიკური წრთობისა და სულიერი დასვენების საუკეთესო საშუალებაა. მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა თოფს იძენს და ნადირობას ჰკიდებს ხელს ისეთი მოქალაქე, რომელმაც არათუ ნადირობის წესები, არამედ იარაღის ხმარებაც კი არ იცის.

ზესტაფონის რაიონის სოფელ ილემში მცხოვრებს მოქალაქე ი. ბ-ს, იმის გამო, რომ მცირეკალიბრიანი შაშხანის ხმარება არ იცოდა, უცაბედად გაუვარდა იგი და შემოაკვდა თავისი შვილი.

ერთი თვის წინათ საგარეჯოს მახლობლად ნადირობის დროს მოქალაქე ზ. ი. კუჭუაშვილმა ნადირობის წესების დარღვევის გამო სანადირო თოფით მოკლა ა. ი. ბაჩაშვილი. ასურეთის მცხოვრებმა დ. გ. გოქაძემ სანადირო თოფის უსისტემო სროლის შედეგად დაჭრა თ. ა. ყრუაშვილი.

ამ წერილით ჩვენ ერთხელ კიდევ გვინდა მოვაგონოთ ყველას, რომ საჭიროა დაუღალავი და განუწყვეტელი აღმზრდელობითი მუშაობა, შეურიგებლობა იმათ მიმართ, ვინც სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს არღვევს, არ ემორჩილება ხალხის ნებით შექმნილ კანონებს და ასეთი მოქმედებით ზიანს აყენებს ჩვენს წინსვლას.

მსგავს გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ერთიანი ძალით. მხოლოდ ამ გზით უზრუნველვყოფთ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას და უშიშროებას.

ო. ქავთარაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

სასოფლო კლუბი — საზოგადოებრივ საწყისებზე

ხაშური. (საკ. კორ.). სოფელ ბრილში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა სასოფლო კლუბი.

ეს ასე მოხდა: სოფელში შენობა იყო, მაგრამ კლუბი არ ჰქონდათ. პენსიონერმა იასონ ქართველიშვილმა გადაწყვიტა ეთავა კლუბის გამგის მოვალეობის შესრულება ანაზღაურების მიუღებლად. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. ი. ქართველიშვილი ახლა ბრილის სასოფლო კლუბის გამგეა.

სავარძლიდან სავარძელში

ფელეტონი

ლევან ლურსმანაშვილი „რაიონული მასშტაბის“ მუშაკი გახდა. დამზადების რაიონულ რწმუნებულად დანიშნეს (იყო ასეთი თანამდებობა 1956 წლამდე). მის იღბლად იმ ხანებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა რაიონში ყოველწლიურად იზრდებოდა. ამას თავისი ახსნა ჰქონდა: კოლმეურნეობები და კოლმეურნეებიც შეძლებულნი გახდნენ. ეს საშუალებას აძლევდა მათ სახელმწიფოს წინაშე არ შერცხვენილიყვნენ. ლურსმანაშვილი კი ფიქრობდა: ეს ჩემი ღვაწლია, შესყიდვის გეგმა რომ სრულდებაო. ხშირად იტყოდა ხოლმე: გეგმებს პირნათლად ვასრულებ, მოწინავე ვარო. იმაზე კი დუმდა, რომ მისი პარტიული საღრიცხვო ბარათი ორი საყვედურით იყო დამშვენებული.

ასე იყო თუ ისე, დამზადების სისტემაში მუშაობისას მას ბევრი პატივისცემით ეპყრობოდა. მამის სახელითაც მიმართავდნენ, ამბაკოვიჩმა იცის ამის შესახებ? ამბაკოვიჩს ჰკითხეთ, ამბაკოვიჩმა გირჩიათო? და ა. შ.

ერთ მშვენიერ დღეს, როგორც სხვაგან, ქარელშიც დამზადების რაიონული რწმუნებულის თანამდებობა გაუქმდა. მაგრამ ისეთ „გამოცდილ“ მუშაკს, როგორიც ლურსმანაშვილია, ვინ დატოვებდა უადგილოდ! სულ მალე ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის (ახლა ადგილობრივი მეურნეობის) დირექტორად დანიშნეს. ამ თანამდებობაზე ორ წელს იყო. ახალ სავარძელში თვითონ თავს ცუდად არ გრძნობდა. მაგრამ საქმე თავისას მოითხოვდა და დროზე მოიფიქრეს მისთვის სავარძელი გამოეცვალათ.

მაგრამ ლევანს არც ნაბიჯი შეშლია, არც გზა არევია. რაიყველკარაქმრეწველობის კანტორის დირექტორად მოკალათდა. რამდენიმე თვეში ისე აურ-დაურია საქმე, კვლავ ისეთი „ორგანიზატორული უნარი“ გამოიჩინა, რომ აიძულა რაიონის ხელმძღვანელები სხვა ასპარეზი მიეჩნიათ მისთვის. ბედად მაშინ ჩამოყალიბდა რუისის მეჭარხლეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, და მის დირექტორად გაამწესეს.

გაამწესეს და სანანებელი გაუხდათ. რაღაც ერთი წლის მანძილზე ისე აწეწა მეურნეობის საქმეები, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა გაცნობისთანავე გადააყენა მეურნეობის დირექტორის თანამდებობიდან.

ლევანი სავარძლიდან ჩამოაბრძანეს, მაგრამ დირექტორის დღეები მარად ტკბილად რომ მოიგონოს, ამიტომ ხაშურში სასახლე აიგო ქარელში ნაყიდი სახლის „დანამატად“!

რუისიდან ხაშურში მისი საკუთარი სახლის მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების მისაზიდად დაჰქროდნენ მეურნეობის ავტომანქანები, რომლებმაც გაირბინეს 6.372 კილომეტრი და გადაიტანეს ათასობით ტონა ტვირთი.

ამ სტრიქონების წაკითხვისას ლევანი შეიძლება აყვირდეს: — მერე რა, ფული ხომ გადავიხადეო. მაგრამ ფულის გადახდა მაშინ იკადრა, როცა დანაშაულზე წაასწრეს.

საკუთარი სახლის მშენებლობით გართულ დირექტორს არ ეცალა ეზრუნა მეურნეობაში მოსავლიანობის გადიდებაზე. ამიტომ იყო, რომ მეურნეობამ გეგმები ვერ შეასრულა, ხოლო პარტიის ქარელის რაიკომის ბიურომ მას საყვედური აკმარა.

რუისის საბჭოთა მეურნეობის დირექტორობიდან განთავისუფლების შემდეგ ლურსმანაშვილმა ლოგინი რაიკომში დაიგო. სამუშაოს ითხოვდა „უმწიკვლო“ კაცი. ექვს თვეს ალოდინეს. მერე შეიცოდეს და აგარის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობაზე ასარჩევად მისცეს რეკომენდაცია. მაგრამ თავი აქაც ვერაფრით გამოიჩინა. სამოსახლო მიწები უკანონოდ გასცა. მშრომელებში ნდობა დაკარგა. ახალი მოწვევის პირველ სესიაზე თავმჯდომარედ აღარ აირჩიეს. სავარძელი ხელიდან გამოეცალა. მაგრამ სხვა სკამი მაინც მალე მიართვეს. ახლა იგი აგარის შაქრის კომბინატში ჭარხლის მიმღებ პუნქტს განაგებს. სადაბო საბჭოს თავმჯდომარესთან შედარებით ხელფასი ახლა მეტი აქვს, სამუშაო კი ნაკლები.

ლურსმანაშვილი მაინც არ არის კმაყოფილი, ზის არხეინად და ახალ სავარძელზე ოცნებობს.

ასეა: მადა ჭამაში მოდის!..

მ. ხეთაგური.

სურათზე: თბილისის მე-15 საშუალო სკოლის V-VI კლასის მოსწავლეები უვლიან, ალამაზებენ სასკოლო ეზოს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კომუნისტი
მე-3 გვერდი, კვირა,
13 მაისი, 1962 წ.

ლიტერატურა და ხელოვნება

მარად ცოცხალი

ყვარელში, გორკის ქუჩის დასაწყისში ერთ-ერთ სვეტზე მიკრულია წარწერა: „კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმამდე 400 მეტრია“. გაივლით ამ მანძილსაც, და დაინახავთ ეზოში ამართულ ორსართულიან სვეტებიან სახლს. ეზოში შესვლისთანავე თვალში გხვდება კოპიანი თუთა. ეს კ. მარჯანიშვილის ბავშვობის დროინდელი ხეა.

ავდივართ კიბეზე. უშველებელი აივნიდან იშლება ზღაპრული პეიზაჟი. აგერ ყვარლის მთები რომლებსაც დიდი სიყვარულით უმღეროდა ილ. ჭავჭავაძე, კარგად ჩანს ცხვირწამოწვდილი კუდიგორა — კაკო ყაჩაღის ადგილსამყოფელი, ციცგომბორი, ულამაზესი ალაზნის ველი.

ახმაურდა წლობით დამუნჯებული და მიყრუებული კარა. აქ ახლა კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმია მოწყობილი. მადლიერმა ქართველმა ხალხმა არ დაივიწყა თავისი უკვდავი შვილი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ხელოვნების ისტორიაში.

ამ დღეებში განსაკუთრებული ფუსფუსია მუზეუმის ეზოში. მღებავებს ფუნჯი მოუმარჯვებიათ, უნდათ გაალამაზონ მამა-პაპათა მიერ დანატოვი XIX საუკუნის ტიპიური საცხოვრებელი სახლი. ეზოში ლამპიონები იდგმება. ვარდები ვარდობას იწყებენ. ვაზები ფოთლით შეიმოსა.

დიდი მუშაობა ტარდება მუზეუმისა და ეზოს კეთილმოსაწყობად. ეს განსაკუთრებული სამზადისი იმის ნიშანია, რომ ახლოვდება დიდი ქართველი საბჭოთა რეჟისორის, ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლისა და რეფორმატორის კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე მარჯანიშვილის დაბადების 90 წლისთავი.

მუზეუმში შეგიძლიათ ნახოთ კ. მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა. თვალწინ გადაგეშლებათ დიდი რეჟისორის ბავშვობა, ახლობელთა წრე. ეცნობით მარჯანიშვილის პირველ ნაბიჯებს ქართულ თეატრში. კოტეს მხარში ედგა ჩვენი ქართული თეატრალური ხელოვნების არაერთი სიამაყე — ლ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ვ. გუნია, შ. დადიანი, მ. საფაროვა—აბაშიძე, ნ. გაბუნია, ნ. ჩხეიძე, ეფ. მესხი და სხვები.

თვალწინ გაიელვებენ ქალაქები რიგა, ხარკოვი, კიევი, ოდესა, მოსკოვი, როსტოვი, პეტერბურგი, თბილისი. თეატრები, სადაც მარჯანიშვილს უხდებოდა მუშაობა. კვლავ მოსკოვში გამგზავრება და ბოლოს, უდროო გარდაცვალება. ასე ცოცხლდება მნახველის თვალწინ რეჟისორის ცხოვრება და მოღვაწეობა.

წელს მუზეუმში გამოფენილი იქნება მრავალი ახალი ღირსშესანიშნავი ექსპონატი, მათ შორის შავი ხის მოჩუქურთმებული სამუშაო მაგიდა, რომელიც მარჯანიშვილს ედგა ბინაში ვაშლოვანის ქუჩაზე თბილისში.

განსაკუთრებით დიდი მადლიერებას [illegible] კ. მარჯანიშვილის ვაჟის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, მოსკოვის ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტის პროფესორის კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე მარჯანიშვილის დახმარება. იგი ყოველ წელს ახალ-ახალი საჩუქრებით ამდიდრებს მუზეუმს, დიდი სიყვარულით მოაქვს მამის ნაქონი ნივთები.

გამოფენაზე ყურადღებას იქცევს ბელგიელი პოეტის ემილ ვერჰარნის წიგნი „ნათელი საათები“ ფრანგულ ენაზე. 1913 წელს მოსკოვში ყოფნისას ემილ ვერჰარნი თავის მეუღლითურთ დაესწრო თავისუფალი თეატრის სპექტაკლს — „პიერეტას ბადისახს“. თეატრში მათი მიღება მოუხდა ნ. დ. ჟიკოვინა-მარჯანიშვილისას. სპექტაკლის დაწყების წინ ვერჰარნმა განაცხადა, რომ მას ერთი აქტის მეტი ნახვა არ შეუძლია. მას ისე მოეწონა სპექტაკლი, რომ აქტის დასასრულს წამოიძახა, ჩვენ ვრჩებითო, და სპექტაკლს ბოლომდე უყურა. ვერჰარნი მოულოდნელად დაესწრო თავისუფალი თეატრის მეორე სპექტაკლსაც „სოროჩინის ბაზრობას“ და დიდი შთაბეჭდილებით წავიდა მოსკოვიდან.

წიგნი „ნათელი საათები“ მან გამოუგზავნა ნ. დ. ჟიკოვინას პარიზიდან წარწერით: „ქალბატონ ნადეჟდა მარჯანიშვილს ნიშნად ღრმა პატივისცემისა და მადლობისა იმ შესანიშნავი საღამოსათვის, რომლის გატარების საშუალება მოგვეცა მან თავის თეატრში“. იმავე ხანებში ვერჰარნმა სტატიაც გამოგზავნა „რუსსკიე ვედომოსტში“, სადაც აღნიშნავდა მოსკოვის თეატრალური ცხოვრების სამ გამოჩენილ მოვლენას — დიდი თეატრის ბალეტს, სამხატვრო თეატრს და თავისუფალ თეატრს.

ყოველწლიურად მდიდრდება კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი, რომელსაც ატყვია მშრომელი ხალხის მზრუნველობა და სიყვარული.

ქეთევან ხუციშვილი,
ყვარლის კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი.


EMILE VERHAEREN
Les Heures claires
POÈMES
PARIS
MERCURE DE FRANCE

გამოჩენილმა ბელგიელმა პოეტმა ემილ ვერჰარნმა თავისი ლექსების წიგნი „ნათელი საათები“ სამახსოვრო წარწერით უძღვნა კოტე მარჯანიშვილის მეუღლეს.

სურათზე: ე. ვერჰარნის წიგნის გარეკანი პოეტის ფაქსიმილეთი.

ჩვენი სტუმრები

დამსახურებული ტაში

თბილისის თეატრალური საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ლატვიელ მომღერალს **ჟერმენ გეინე-ვაგნერს**, რომელიც არაერთხელ ყოფილა ჩვენს დედაქალაქში და ყოველთვის წარმატებით გამოსულა ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე.

ამ დღეებში ჟ. გეინე-ვაგნერმა თავის თანამემამულე მ. ფიშერთან ერთად მონაწილეობა მიიღო ჯ. ვერდის „აიდაში“, 11 მაისს კი პუჩინის „ტოსკაში“ შეასრულა ტოსკას პარტია.

თავისი ბრწყინვალე ხმითა და სცენური ხელოვნებით გეინე-ვაგნერმა შექმნა შეყვარებული იტალიელი ქალის ტანჯული სახე. მომღერლის მაღალმა ვოკალურმა კულტურამ თავიდანვე დაიპყრო მსმენელი.

შესანიშნავი ტემბრის, ძლიერი და თანაც ხავერდოვანი სოპრანო თავისუფლად ემორჩილება ნიჭიერი მსახიობის ნებას.

ამჟამად გეინე-ვაგნერთან ერთად მღეროდა რიგის ოპერისა და ბალეტის დამსახურებული არტისტი **მიქელის ფიშერი**, რომელმაც თავისი შესანიშნავი ტენორით შექმნა კავარადოსის დამაჯერებელი სახე. საგულისხმოა, რომ წინათ ფიშერი ბარიტონის პარტიებს ასრულებდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ტენორის პარტიებში უფრო გაიშალა მისი შემოქმედებითი ნიჭი.

თბილისელმა მაყურებელმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა ჩვენი რიგელი სტუმრები.

ნ. გიორგაძე.

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლ „ტოსკადან“. ტოსკა — ჟერმენ გეინე-ვაგნერი, კავარადოსი — მიქელის ფიშერი.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ასე იზრდა, ასე ამაღლდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. შეხედე, ძვირფასო მკითხველო, ამ სახეგაბრწყინებულ, მხიარულ, ჟანლონით სავსე ახალგაზრდობას. აქ, ამ ფოტოსურათზე, ერთეულებია აღბეჭდილი, მათთან ერთად 15.000 მათი ტოლი ჩვენი იუბილარის კედლებში. მის აუდიტორიებში ეუფლება ტექნიკურ მეცნიერებას.

ჭეშმარიტად ბედნიერია პარტიისა და მთავრობის ზრუნვით გარემოსილი ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტობა, რომელმაც გუშინ ზეიმით აღნიშნა მშობლიური სასწავლებლის სახელოვანი ორმოცი წლის იუბილე.

აი ზრდის შესანიშნავი, ნათელი ფაქტები საამაყო ციფრების ენით:

1922 წელს ახლანდელი ინსტიტუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტს წარმოადგენდა სამშენებლო, მექანიკურ და სამთო სპეციალისტთა განხრით. 1928 წელს მან მხოლოდ 10 კაცი გამოუშვა. იმავე წლისათვის ინსტიტუტში 1.187 სტუდენტი სწავლობდა.

ახლა მასში სწავლობს 15.000 სტუდენტი, ეუფლება 56 სპეციალობას. ამ გრანდიოზული რიცხვიდან სწავლობს: 5.000 სტუდენტი დღის დასწრებულზე, 2.000-მდე საღამოს დასწრებულზე, 8.000 კი დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე. უახლოეს ათ წელიწადში გათვალისწინებულია ინსტიტუტში მისაღებთა კონტინგენტი ყოველწლიურად 10 პროცენტით გაიზარდოს.

სტუდენტთა ამ არმიის აღზრდისა და დასპეციალების საქმეს ემსახურება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 12 ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტი, 45 მეცნიერებათა დოქტორი, 247 — კანდიდატი, 730 უფროსი მასწავლებელი და ასისტენტი, 72 კათედრა.

ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება აერთიანებს 1.400 სტუდენტს, რომლებიც 53 სამეცნიერო წრეში მუშაობენ.

ინსტიტუტში შექმნილია ზოგადსაგანმანათლებლო ფაკულტეტი უცხოელი სტუდენტებისათვის, სადაც აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების 59 წარმოგზავნილი სწავლობს.

აქ მძლავრად ჩქეფს კომკავშირული ცხოვრება. ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაცია აერთიანებს 4.145 კომკავშირელს.

ფართო პოპულარობით სარგებლობს სტუდენტთა საესტრადო ორკესტრი. ცნობილია ინსტიტუტის სპორტული ორგანიზაციებიც. სპორტულ განყოფილებებში 1.500-ზე მეტი სტუდენტი მეცადინეობს. ინსტიტუტის აღზრდილთა შორის 15 კაცს მინიჭებული აქვს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. უკანასკნელ 5 წელიწადში მომზადებულია 1.000 სპორტის ოსტატი, 334 პირველი, 689 — მეორე და 2.526 მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი.

ასე იზარდა, ასე ამაღლდა ჩვენი სახელოვანი იუბილარი, მისი სტუდენტი ახალგაზრდობა.

სურათზე: ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ნ. გაფრინდაშვილი — ლიდერი

ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის განვლილ სამ ტურში რამდენიმე დაუმთავრებელი პარტია დარჩა. მათ შედეგებს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერთა გამოსავლინებლად.

ამ პარტიების დამთავრება მოეწყო გუშინ. ბევრს აინტერესებდა კუშნირ-გაფრინდაშვილის პარტიის დაბოლოება. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ რაკი პარტია შეწყვეტილია ეტლების ენდშპილში, მოსალოდნელია საყაიმო შედეგი, მაგრამ გაფრინდაშვილმა ადვილად გააქარწყლა ეს შეხედულება, ეტლისა და მეფის შეთანხმებული მანევრირებით პარტია ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა — 58-ე სვლაზე გაიმარჯვა. ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ნ. გაფრინდაშვილი სათავეში ჩაუდგა ტურნირს. 3 ქულით იგი ერთპიროვნული ლიდერია.

წარუმატებლად აეწყო გადადებული პარტიების დამთავრება სხვა ქართველი ოსტატებისათვის. მ. ტოგონიძემ ვერ დააღწია თავი სიძნელეებს კუშნირთან პარტიაში და დამარცხდა. ჩაიკოვსკაია შეუპოვრად იცავდა მძიმე პოზიციას უნგრელ ხონფისთან, მაგრამ ბუდაპეშტელმა ოსტატმა მაინც დაძლია წინააღმდეგობა და 70-ე სვლაზე აიძულა მეტოქე დანებებულიყო. სამაგიეროდ ჩაიკოვსკაიამ გაიმარჯვა მეორე გადადებულ პარტიაში ე. კაკაბაძესთან.

— ჩვენ ყაიმზე შევთანხმდით, — განუცხადეს მსაჯთა კოლეგიას იუგოსლაველმა კ. იოვანოვიჩმა და რუმინელმა ა. ნიკოლაუმ.

იოვანოვიჩს კიდევ ერთი პარტია ჰქონდა სათამაშო ვოიცეკთან. ამ უკანასკნელის პოზიციის სიმტკიცე ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ 18 წლის იუგოსლაველმა გოგონამ ჩინებული დაცვით ყაიმს მიაღწია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იოვანოვიჩის დები 15 წლის რუჟიცა და 10 წლის გორდანა საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკეები არიან. გორდანას თამამს მაღალი შეფასება მისცა გროსმაისტერმა ი. ბონდარევსკიმ, როცა იოვანოვიჩების ოჯახს ბელგრადში მასთან ერთად ესტუმრნენ ნ. გაფრინდაშვილი და მ. შიშოვი. კატია იოვანოვიჩი კი 12 წლისა იყო, როცა იგი ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ აღიარეს იუგოსლავიაში. ახლა მასზე დიდ იმედებს ამყარებენ.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ხონფი ყაიმზე შეუთანხმდა ჰ. კონარკოვსკასა (პოლონეთი) და ვ. ასენოვას (ბულგარეთი).

თ. გიორგაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

მოულოდნელობანი დიდ ტურნირზე

უკანასკნელ ორ დღეს კუნძულ კიურასაოდან რადიოს სასიამოვნო ამბები მოაქვს. საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტთა შეჯიბრების მეხუთე ტურში კორჩნოიმ გაანადგურა ფიშერი, მეორე დღეს კი კერესმა შეაჩერა მეორე ამერიკელი გროსმაისტერის — ბენკოს წარმატებითი წინსვლა.

პირველი, რითაც განირჩევა ამ ისტორიული შეჯიბრების სტარტი, მოულოდნელობებია. გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ მკითხველებმა პროგნოზების შედგენისას ყველაზე მეტი ხმა მისცეს ტალს და მეორე რიგში ფიშერს, მაგრამ ახალგაზრდა გროსმაისტერებმა მათი იმედი ვერ გაამართლეს — თვითეულმა მათგანმა უკვე სამი დამარცხება განიცადა.

რატომ ხდება ეს? ნუთუ ტალისა და ფიშერის ყველა წარმატება კანონზომიერი არ იყო? არა, ასეთი სტარტის მიზეზი სულ სხვაა...

ტალი თითქმის ყოველთვის წარუმატებლად იწყებს ტურნირს. ამიტომ, ოოცა მას ეკითხებოდნენ, როგორ ფორმაში ხართო, იგი უპასუხებდა, მეორე ტურის შემდეგ დავინახავთო. ამჯერად მისი წარუმატებლობა დიდხანს გრძელდება. მიზეზია ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა — ძალების შესუსტება მძიმე ოპერაციის შემდეგ. თუმცაღა, პირველ სამ ტურში 0 ქულა რომ ჰქონდა, ტალმა მომდევნო სამ ტურში უკვე 2 ქულა დააგროვა.

ფიშერის წარუმატებლობა, სხვა ხასიათისაა. აქ მიზეზია ზედმეტი თავდაჯერებულობა და გაყოყოჩება, რაც ჭაბუკ გროსმაისტერს დაეუფლა მას შემდეგ, რაც მან ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია სტოკჰოლმის საზონათაშორისო ტურნირზე.

ამ ორ შეჯიბრებას შორის მეტი დრო რომ ყოფილიყო, იგი მოასწრებდა ჩაფიქრებოდა იმას, რომ ყველაფერი სწორია თუ არა მის თამაშში. ახლა კი იგი ბრძოლაში ჩაება წარმატებისაგან თავბრუდახვეული, რასაც მცირედ როდი შეუწყო ხელი იმ ხმაურმა, რაც ჭაბუკი გროსმაისტერის გარშემო გამართეს.

ანგარიშიდან უნდა ჩამოვწეროთ თუ არა პროგნოზების დროს ტალი და ფიშერი. რა თქმა უნდა, არა, ვინაიდან წინ კიდევ არის 22 ტური, მაგრამ მათ სოლიდური ფორა მისცეს კონკურენტებს როგორც ქულებით, ისე ფსიქოლოგიურად.

დანარჩენი საბჭოთა გროსმაისტერები — კერესი, გელერი, კორჩნოი და პეტროსიანი მჭიდრო ჯგუფად მიდიან და ჯერჯერობით არც ერთი პარტია არ წაუგიათ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მათი შანსები სულ სხვადასხვა.

პეტროსიანი კვლავ თამაშობს მოდუნებულად, ზედმეტი სიფრთხილით და მშვიდობისმოყვარულად. გასაოცარია, რომ ასეთი გრანდიოზული ნიჭის მოჭადრაკე როგორღაც თვითონ აფუჭებს თავის შედეგებს იმით, რომ იშვიათად თამაშობს გზნებით. გელერიც ჯერჯერობით უფრო ხშირად გამოდის თავდამცველისა და თავის გადამრჩენის როლში, ხოლო ასეთი ტაქტიკით ბევრის მიღწევა როდი შეიძლება.

სამაგიეროდ კერესი და კორჩნოი უთუოდ სტარტის გმირები არიან. ისინი დიდ ძალას ახმარენ თვითეულ პარტიას, ყოველთვის ესწრაფვიან გამარჯვებას, დროულად ამჩნევენ მოახლოებულ საშიშროებას და სწორად უპასუხებენ მას.

კერესი საერთოდ ყოველთვის თამაშობს პრეტენდენტთა ტურნირებში. აქვე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ მას არ გამოუტოვებია არც ერთი ეს ტურნირი. ყოველ ტურნირზე იგი სულ უკეთ თამაშობს (1950 წ. — მე-4 ადგილი, 1953 წ. — მე-2-4 ადგილები, 1956-59 წლებში — მე-2 ადგილი).

კორჩნოი ასეთ შეჯიბრებაში ახალბედაა, მაგრამ მას საჭადრაკო სამყაროში ალბათ ბადალი არ მოეპოვება სპორტული სიავით, სიმტკიცითა და დაჟინებით. ამიტომ წინასწარმეტყველების დიდი ნიჭი როდია საჭირო იმის სათქმელად რომ სწორედ კერესისა და კორჩნოისაგან შეიძლება მოველოდეთ სერიოზულ განაცხადს გამარჯვებაზე.

ბენკოსა და ფილიპის შანსებს არასოდეს არ მისცემია მაღალი შეფასება და თუმცა პირველი მათგანი ჯერჯერობით ლიდერთა ჯგუფშია, მაგრამ ეტყობა, რომ იგი „ხალიფაა ერთი საათით“.

რას გადმოგვცემენ კიურასაოდან გარდა პარტიებისა და შედეგებისა? საბჭოთა გროსმაისტერებს ხომ პირველად უხდებათ გამოსვლა თითქმის ეკვატორზე!

სიცხე თურმე არავის არ აწუხებს, ვინაიდან ყოველთვის ქარია და 30 გრადუსამდე ტემპერატურას ადვილად იტანენ. თანაც ოთახებში და სატურნირო დარბაზში კონდიცირებული ჰაერია. მაყურებლებს დარბაზში სულ ცოტას უშვებენ. მაგრამ დანარჩენნი ბრძოლებს თვალყურს ადევნებენ სადემონსტრაციო დაფებით, სუფთა ჰაერზე.

საერთოდ, კუნძულ კიურასაოზე საჭადრაკო ციებცხელებაა. ტურნირის დაწყებამდე ბევრად ადრე რადიო, ტელევიზია, გაზეთები შეუდგნენ ჭადრაკის გაცნობას ადგილობრივი მოსახლეობისათვის და, რა თქმა უნდა, კურორტზე დამსვენებლებისათვის. ბევრი ტურისტი სპეციალურად ჩადის ამერიკის სხვადასხვა ქვეყნიდან, მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები რომ ნახოს და „გულშემატკივრობა გაუწიოს“ მსოფლიოს ახალ საჭადრაკო სასწაულს — ბობი ფიშერს.

როგორც გადმოგვცემენ, ბობი ძლიერ განიცდის თავის წარუმატებლობას და, თუმცა არ ტირის, როგორც სულ ცოტა ხნის წინათ იყო, მაგრამ მისი თავმოყვარეობა ფრიად საგრძნობად შეილახა.

ტალი, პირიქით, ოხუნჯობს თავის თავსა და თავის წარუმატებლობაზე. რა ვქნა, ამბობს იგი, ძალა არ მყოფნის, და თამაშის მეხუთე საათზე შეცდომებისაგან თავს ვერასგზით ვერ დავიზღვევო.

ფიშერისა და ტალის თაყვანისმცემლები ფარხმალს როდი ყრიან. ნახავთ, ამბობენ ისინი, ახალგაზრდობამ არ შეიძლება თავი არ იჩინოს, და საბოლოო ანგარიშით პირველი ადგილის ბედს სწორედ ბობი და მიშა გადაწყვეტენო.

განსაკუთრებული პოზიცია უჭირავთ ამერიკის დეპეშათა სააგენტოებს. ტურნირის დაწყებამდე მათი გმირი ფიშერი იყო. მაგრამ მისი პირველი დამარცხებისთანავე მათ ხოტბის შესხმა დაუწყეს ბენკოს. ვითომ დიდი ხნით?

დაგვრჩენია კიდევ ვთქვათ, რომ დაძაბულობას ჯერ მწვერვალისათვის არ მიუღწევია. ვინაიდან არც ერთ მონაწილეს არ მიაჩნია, რომ შანსები დაკარგა.

ლ. აბრამოვი,
საერთაშორისო ოსტატი.

მოსკოვი, 11 მაისი.

საინტერესოა ვიცოდეთ

კიურასაო

კუნძული კიურასაო. დღეს იგი მსოფლიოს ჭადრაკის მოყვარულთა ყურადღებას იპყრობს. აქ მიმდინარეობს პრეტენდენტთა ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან შესახვედრად უძლიერესის გამოსავლინებლად.

სად მდებარეობს და რას წარმოადგენს კუნძული კიურასაო?

ეს კითხვა ალბათ ბევრ ჭადრაკის მოყვარულს აინტერესებს, როდესაც ამ კუნძულიდან მიღებულ ცნობებს კითხულობს პრესაში.



კარიბის ზღვაში, ვენესუელის ნაპირებიდან 70 კილომეტრ მანძილზე მდებარე ეს კუნძული 1499 წელს აღმოაჩინა ესპანელმა მეზღვაურმა ალონსო დე ოხედამ. 450 კვადრატული კილომეტრი ფართობის კუნძულზე ცხოვრობს 98 ათასი კაცი, რომელთა 80 პროცენტი ზანგები და მულატებია. აქ ოფიციალური ენაა ჰოლანდიური, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა ლაპარაკობს „პაპიამენტოს“ დიალექტზე, რომელიც შეიქმნა ესპანური, პორტუგალიური, ჰოლანდიური და სხვა ენების აღრევის შედეგად.

კუნძულის რელიეფი მთაგორიანია და ნაკლებად არის მცენარეულობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამ კუნძულზე თითქმის არ არის მტკნარი წყალი. სასმელ წყალს იღებენ „წყლის ფაბრიკებში“ ზღვის წყლის აორთქლებით. კუნძულის ნაპირები შემოფარგლულია მარჯნის რიფებით.

ჰავა ტროპიკულია. ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურაა პლუს 21 გრადუსი, ხოლო ყველაზე თბილი თვისა — პლუს 29 გრადუსი.

კიურასაო ვენესუელაში მოპოვებული ნავთობის გადასამუშავებელი უდიდესი ცენტრია. სოფლის მეურნეობა ნაკლებად არის განვითარებული. კიურასაოელები ჩალის ქუდების დიდი ოსტატები არიან.

ეს კუნძული ნიდერლანდის ვესტ-ინდოეთის შემადგენლობაში შედის, მაგრამ აშკარად იგრძნობა გავლენა ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომლებსაც აქ სამხედრო-საჰაერო ბაზები აქვთ. მთავარი ქალაქებია ვილემსტადი და ემასტადე. და აი ერთ-ერთი მათგანის — ვილემსტადის უდიდეს სასტუმრო „კიურასაო ინტერკონტინენტალში“ მიმდინარეობს პრეტენდენტთა ასპარეზობა. მონაწილენი, რომლებიც იქვე ცხოვრობენ, საჭადრაკო დაფებს უსხდებიან ღამის 3 საათზე თბილისის დროით. ამ დროს კი კუნძულ კიურასაოზე საღამოს შვიდის ნახევარია.

ვინ მიდის ჩილიში?

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა დაამთავრა წვრთნა სამშობლოში და მალე ჩილიში გაემგზავრება. გზად, კოსტარიკაში ჩვენი გუნდი გამართავს საერთაშორისო შეხვედრას.

გუშინ ღამით რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა სსრ კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელს გავრილ კაჩალინს და სთხოვა მას დაესახელებია თუ ვინ მიემგზავრება ჩილიში.

მან სიამოვნებით დაგვისახელა ეს ფეხბურთელები.

მეკარეები — იაშინი, მასლაჩენკო, კოტრიკაძე; მცველები — ჩოხელი, დუბინსკი, ოსტროვსკი, მასლიონკინი, შესტერნევი; ნახევარმცველები — ვორონინი, ნეტო, საბო, მანოშინი; თავდამსხმელები — მეტრეველი, ჩისლენკო, ივანოვი, სერებრიანიკოვი, კანევსკი, პონედელნიკი, ჰუსაინოვი, მესხი, მამიკინი, გუსაროვი.

პრეტენდენტთა ტურნირზე

კიურასაო, 12 მაისი. (საკდესი). ყაიმით დამთავრდა ბენკო-პეტროსიანის პარტია, რომელიც მეხუთე ტურში გადაიდო. ამ ყაიმმა, იუწყება ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი, ფრიად გააბრაზა ამერიკელი გროსმაისტერი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დამარცხდა კერესთან — მეექვსე ტურში.

კვლავ დაუმთავრებელი დარჩა კორჩნოი-ფილიპის პარტია მეექვსე ტურიდან.

კვირას პრეტენდენტთა ტურნირზე გაიმართება მეშვიდე — პირველი წრის უკანასკნელი ტური. „გროსმაისტერთა მარათონის“ მონაწილეებმა მთელი დისტანციის თითქმის მეოთხედი განვლეს. წინ არის პაულ კერესი, რომელმაც 4 ქულა შეაგროვა.

მეშვიდე ტურში ერთმანეთს ხვდებიან ტალი და კორჩნოი, ფილიპი და პეტროსიანი, ფიშერი და კერესი, ბენკო და გელერი.

ი. პერვუშინა და ბ. შახლინი აბსოლუტური ჩემპიონები

გუშინ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გამოდიოდნენ ტანმოვარჯიშე ქალები. ეს იყო საკავშირო ასპარეზობის დასკვნითი ნაწილი მრავალჭიდში. ნებისმიერ ვარჯიშში მაღალი მაჩვენებლებით პირველი ადგილი და აბსოლუტური ჩემპიონობა ხვდა **ი. პერვუშინას**. აღსანიშნავია, რომ თავისუფალ ვარჯიშში მან მიიღო შეფასება 9,9 ქულა.

ვაჟთა ასპარეზობაში, რომელიც წინადღით დამთავრდა უძლიერესი იყო **ბ. შახლინი**.

გამარჯვებულებს გადაეცათ გაზეთ „პრავდის“ სპეციალური პრიზები, აგრეთვე თასები.

უნგრელი კალათბურთელები ითამაშებენ თბილისში

თბილისს ეწვივნენ უნგრეთის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები. სტუმრებს აეროდრომზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. უნგრელები დღეს, 13 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში გამართავენ ორ მატჩს. ქალთა გუნდი შეხვდება თბილისის „ბურევესტნიკს“, ვაჟთა გუნდი — ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ნაკრებს.

თბილისში ჩამოსვლამდე უნგრელმა კალათბურთელებმა მოსკოვში ორ-ორი შეხვედრა გამართეს და დამარცხება განიცადეს. მეორე მატჩი მათ ჰქონდათ 10 მაისს მოსკოვში საკლუბო ნაკრებ გუნდებთან. ქალებმა წააგეს შეხვედრა 27:70, ვაჟებმა — 49:53.

სპორტული ქრონიკა

გუშინ მოსკოვში შედგა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის საკლუბო ნაკრებსა და ბრაზილიის „გრემიოს“ შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:0.

მატჩი ლენინგრადში ჩვენი ქვეყნის მეორე ნაკრებსა და რსფსრ „ბ“ კლასის ნაკრებ გუნდს შორის დამთავრდა პირველის გამარჯვებით 4:3.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

რა ვნახოთ, მოვისმინოთ

ტელევიზია

13 მაისი

12.00 ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად, 12.20 — საინტერესო შეხვედრების კლუბი (ტრანსლაცია რკინიგზელთა სახლიდან). 13.10 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 14.00 — ქართული ენის გაკვეთილი, 14.30 — რუსული ენის გაკვეთილი, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.35 — კინონარკვევი, 18.45 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.00 — სპორტული გადაცემა. სპორტული გადაცემის შემდეგ მხატვრული ფილმი „ადამიანის ბედი“.

რადიო

14 მაისი
პირველი პროგრამით

08.15 — მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხთა სიმღერები, 09.20 — ლიტერატურული გადაცემა ციკლიდან — „კომუნიზმის მშენებლები“, 12.00 — ნარკვევი — „მზეზე კაშკაშა სინათლე“, 12.15 — მეტნერი. II საფორტეპიანო კონცერტი, 13.40 — სიმღერები ნ. მკერვალიძის, ც. ციცქიშვილისა და ვოკალური ოქტეტის შესრულებით, 17.20 — კონცერტი: „მღერის მატილდა დობსი“, 17.40 გადაცემა მოსწავლეთათვის. ე. ტაბიძის ნარკვევი: „ალმები გვიამბობენ“, 18.05 — ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის კონცერტი, 18.45 — კამერული მუსიკა, 19.15 — გრ. კილაძე. სიმფონიური პოემა „განდეგილი“, 19.45 — საუბარი: „დიდი ფსიქიატრი“, 20.20 — საოპერო მუსიკის კონცერტი, 21.05 — ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატების კონცერტი, 22.00 — ლიტერატურული გადაცემა. ბურიაკოვსკის მოთხრობა „ასეთ დღეს“, 22.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

ორშაბათიდან თბილისელი კინომაყურებლები ეკრანზე ნახავენ ორ ახალ ფილმს.

ერთ-ერთ მათგანს ეწოდება „გზა“. იგი მოგვითხრობს ერთი გლეხკაცის ბედზე, რომელშიც ჯერ კიდევ ცოცხლობს კერძომესაკუთრული ხასიათი, რის გამო მას ცხოვრება თავის დაღს ასვამს.

ეს ფილმი შექმნეს სომხეთის კინოსტუდიის შემოქმედებითმა მუშაკებმა რეჟისორ-დამდგმელ ს. კევორკოვის ხელმძღვანელობით. სცენარის ავტორები არიან გ. ბაგრაზიანი და ა. ალაბაბიანი.

მეორე ფილმია „ოპერაცია გლიაივიცი“.

ფილმი გადაიღო კინოსტუდია „დეფას“ მესამე შემოქმედებითმა გაერთიანებამ „ბერლინმა“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).



სურათზე: ფილმი „გზის“ კინორეკლამა.

კინო

13 მაისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი) — ტრაგიკული ნადირობა, **ოქტომბერი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **გაზაფხული, პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ერთი ბოროტმოქმედების ფასი, **ისანი** (საზაფხულო) — ჩვენ კრონშტადტიდან ვართ, **კომკავშირელი** — აღდგომა (I-II სერია), **ოფიცერთა სახლი, კიროვის სახელობის პარკი, ადგილობრივი მრეწველობის რესპუბლიკური სახლი** — აღდგომა (მეორე სერია), **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — ფრთიანი ადამიანები.

თეატრები

13 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — სევილიელი დალაქი (დღისით), ოტელო (საღამოს, მე-14 აბონ. მე-9 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — წვიმის გამყიდველი (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ბაბთიანი გოგონა (დღისით), ხეები ზეზეურად კვდებიან (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — წესგარეშე თამაში (დღისით და საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მეკარე (რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — ჩვენი ერთი საღამო, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჩიკორი (აბონ. № 43, 2 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — საქართველოს ხალხური სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი.

უე 01008

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.